ტელეფ. 6-60 წელიწადი 1914 მეოთხე ტელეფ. 6-60

ორშაბათი, 5 მაისი, № 174

ფასი გაზეთისა: წლიურად—2 მ. 50 კ., ნახევარი წლით—1 მ. და 25 კაპ., 1 თვით 25 კაპ.

თითო ნომერი 5 კაპ.

განცხადებათა ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 15 კ. უკანასკნელ გვერდზე—10 კაპ. ტექსტის შუაგულს—20 კაპ. სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა—3 მან.

თემი

ორშაბათი, 5 მაისი, № 174

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.

დაწუნებულ წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია ინახავს მხოლოდ ორი კვირის განმავლობაში. პასუხისათვის საჭიროა ფოსტის მარკები. რედაქტორის ნახვა შეიძლება ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა 10 საათიდან 1 საათამდის რედაქციაში Ольгинская, 4 д. Діасамидзе, ხელისმოწერა და განცხადებანი მიიღება, აქვე კვირა-უქმე დღეებს გარდა.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. გამოდის ორშაბათობით

მიიღება ხელის მოწერა 1914 წლისთვის

წელიწადი მეოთხე „თემი“ წელიწადი მეოთხე

წლიურნი ხელის მომწერლნი მიიღებენ 2 საჩუქარს: 1) წიგნს, სადაც მოთავსებული იქნება აკაკის პოემა „რაჭა-ლეჩხუმი“, რაჭა-ლეჩხუმში მისი მოგზაურობის ამბავი წარმოთქმული სიტყვები და ამ კუთხის რუკა (ქარტა); 2), ნ. ა. დუბროვსკის თხზულებას „ავგუსტ ბებელი“, რომელიც საკუთრად „თემისათვის“ არის დაწერილი.

ხელისმოწერა მიიღება „თემის“ რედაქციაში (ოლგას ქ., სახ. დიასამიძისა, № 4) ფასი გაზეთისა: წლიურად—2 მ. 50 კ., ნახევარ წლით—1 მ. 25 კ., ერთი თვით—25 კაპ. კონტორა ღიაა ყოველდღე დილის 10 საათიდან 1 საათამდე.

ადრესის გამოცვლა თბილისს გარეშე—40 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Ольгинская 4, д. Діасамидзе, редакція газ. „Теми“

5, 6, 7 მაისს 1914 წ. მუშტაიდის ბაღში

სახალხო სახლთან. არსებ. ქართ. სექც. სასარგებლოთ გაიმართება დიდი

სეირნობა

მრავალი გასართობი: კოშკი, კეგელბანი, პტიშკო, ჩინური ბილიარდი, საიდუმლო ტიკინი, კონფეტი' ფოსტა, ყვავილები და უფასო სინემატოგრაფი

ბაღში დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი. შესვლა უფასოა

დასაწყისი სალ. 5 ს.

ახალი კლუბი

ორშაბათს, 5 მაისს 1914 წ.

სინემატოგრაფის საშუალებით

აჩვენებენ საინტერესო სურათებს. „ახალი კლუბის“ სიმებიანი ორკესტრი დაუკრავს სხვადასხვა მუსიკალურ პიესებს.

დასაწყისი საღამოს 8½ საათზე

ექ. ვახტანგ დ. ღამბაშიძის

სანატორიუმი

„პატარა-ცემი“

ბავშვებისათვის 8-15 წლამდე.

დაწვრილებით ცნობები მსურველთ უფასოდ გაეგზავნებათ

მისამართი: თბილისს, ექიმ ვ. ღამბაშიძეს.

ახალი კლუბი

პარასკევს, 9 მაისს 1914 წ.

ჩვეულებრივ

სინემატოგრაფიული სურათები

მუსიკალურ პიესებს დაუკრავს ორკესტრი.

დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.

6 მაისს 1914 წ.

სახალხო სეირნობა

ქართველ ქალთა ამხანაგების სამკერვალო სკოლის სასარგებლოდ

მიხეილის ქუჩა, კარაპეტიანცის ბაღი. № 65).

ბაღი იქნება მორთული, გაჩაღებული საუცხოოდ. და სხვა და სხვა გასართობები.

დაუკრავს სამხედრო მუსიკა და საზანდარი

სეირნობის დასაწყისი 4 საათი

შესასვლელი ფასი 25, მოსწავლეთათვის 15, ბავშვები 10

მეორე ხარისხოვანი

საქალებო 4-კლასიანი

კერძო სასწავლებელი

კნ. ანასტასია ლევანის ასულ ჩერქეზიშვილისა.

სკოლაში მისაღებად გამოცდაზე ჩაწერა მაისიდან დაიწყება. გამოცდა საანბანო, უმცროს და უფროს განყოფილებაში მოხდება 23 მაისს, I და II კლასში 24 მაისს, მე-III კლას. 28 მაისს, მე-IV კლას—29 მაისს.

ალექსეევის ქუჩა, № 17.

კავკასიის

სავაჭრო-სამრეწველო ბანკი

პროვინციის კომისიების თხოვნის თანახმად

ბანკის მთავარი საორგანიზაციო

კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ

ბანკის აქციებზე ხელის მოწერა გაგრძელდება

როგორც თბილისში, ისე კავკასიის ყველა ქალაქებში

კიდევ შვიდ (7) მაისამდე: 5 და 7 მაისს.

ხელის მოწერა დახურული იქნება ოთხშაბათს, შუადღის 2 საათზე, ამიტომ ვისაც ჰსურს აქციის შეძენა, ფული უნდა შემოიტანოს აღნიშნულ დრომდის.

თითო აქცია ღირს 250 მან. ახლა არის შემოსატანი თითო აქციაზე 26 მან. მეორე ნაწილი თითო აქციაზე 100 მან. უნდა შემოტანილ იქმნას ოქტომბერში, დანარჩენი ფული კი ბანკის გახსნის შემდეგ 6 თვის განმავლობაში.

ხელის მოწერა მიიღება: თბილისში სამეურნეო ბანკის დარბაზში (სასახლის ქ., სახლი სარაჯიშვილისა); ბაქოში—მურტუზა-აღა მუხთაროვის კანტორაში და ნ. ი. ჯაყელის კანტორაში; ერევანში—დ. ზ. სარაჯიშვილის კანტორაში; თელავში—საზოგ. „კახეთის“ კანტორაში, ქუთაისში, კავკავში, სოხუმში და სხვა ქალაქებში ადგილობრივ საურთიერთო ნდობის ბანკებში.

ფული ფოსტით შეიძლება გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ' Сельск Банкъ предсѣдателю правленія Дмитрію Эрастовичу Кн. Челокаеву.

კავკასიის სავაჭრო სამრეწველო ბანკის კომიტეტი.

თბილისი, 5 მაისი.

ჩვენს პარტიათა შორის დამოკიდებულება და ურთიერთობა დღითი-დღე მწვავდება. გარეშე მდგომი ელემენტები და ჯგუფები მოვალენი არიან მიუკერძვლად გამოსთქვან თავიანთი აზრი ამ საგნის შესახებ და თავის მხრით ხელი შეუწყონ ამ ურთიერთობის გაუმჯობესების საქმეს.

საუბედუროდ ეს საქმე არც ისე ადვილია, როგორც ეს პირველი შეხედვითა სჩანს. როგორც ეტყობა, ჯგუფთა და ცალკე თვალსაჩინო პირთა ურთიერთისადმი უპატივცემულობა და სიძულვილი თან დაყოლილი გვაქვს დაბადებისთანავე. იგი მემკვიდრეობით მოგვდგამს, როგორც „გარდმონაცემი ძველთაგან“.

მთელი ჩვენი ისტორია სავსეა სხვადასხვა კუთხეების, სხვადასხვა მებატონეების, მთავრების, მეფისშვილების და მეფეების მომაკვდინებელ ქიშპისა და უაზრო ბრძოლის ამბებით. და აი სწორედ ეს რაღაც უცნაური „რკინის კანონი“ გვიმორჩილებს, როგორც სჩანს, დღესაც ჩვენ, ქართველებს.

არ შეიძლება, ისე გამოვიდეს რომელიმე პერიოდული გამოცემა რომელიმე ჩვენი პარტიისა, რომ მეორე პარტია არ იყოს უპატივცემულოდ, უდარბაისლოდ მოხსენებული. პარტიის მესვეურნი არ ჰფიქრობენ, რომ ამნაირად ჰრყვნიან თვით თავიანთ წევრებს, სახელს უტეხენ თავიანთ ჯგუფს, თავიანთ იდეალს და ძირს უთხრიან იმ საქმეს, რომელსაც ემსახურებიან.

რასაკვირველია, ყველგან არის მთელ ქვეყნიერობაზე, პარტიები, ჯგუფები, ყველგან არის ბრძოლა, ქიშპი. ასე რომ არ ყოფილიყო, ცხოვრებაც მოდუნებული იქნებოდა და წინსრბოლაც შეჩერებული, მაგრამ ბრძოლაც არის და ბრძოლაც, ქიშპიც არის და ქიშპიც. ევროპიულ ყაიდაზე ჩამოყალიბებულ ჩვენს პარტიებს ჰმართებთ ევროპიულ საშუალებათა შეთვისება და ხმარება. ბრძოლა, კამათი უფრო დამშვიდებული უნდა იყოს, უფრო დინჯი და უფრო დარბაისლური.

გავიხსენოთ, რა დაასკვნა, როგორ დაახასიათა ეს ჩვენი ბრძოლა იმ სამედიატორო სასამართლომ, რომელიც გაიმართა გეგეჭკორ-გელოვანის საქმის განსახილველად...

არა გვგონია, ეს დახასიათება სასიამო ყოფილიყოს რომელსამე თავისთავის პატივისმცემელ პარტიისათვის!.. სხვა, ჩვენ ადგილს, გაწითლდებოდა და ყველა საშუალებას, ყველა ზომას იღონებდა, რომ როგორმე შემდეგში მაინც აეცილებინა ბრძოლისათვის სამარცხვინო და დასაგმობი ელფერი!..

ამას თითქოს ჩვენც თვითონ ვგრძნობთ, როდესაც წინადადებას გვაძლევენ საკამათო საგნის გამორკვევა და საბრძოლველ საშუალებათა შეფასება მივანდოთ რომელსამე პატივცემულ, თუნდ უცხო გამოცემათა რედაქციებს, ჩვენ თითქოს წინდაწინვე ვგრძნობთ ჩვენს გამტყუნებას და უარს ვამბობთ ამ განსამართლებაზე.

რაც დრო გადის, ჩვენ უფრო და უფრო ვამცირებთ ერთმანეთს, ვიგონებთ მომაკვდინებელ საშუალებას მოწინააღმდეგეს პიროვნების გასაქირდავად.

დროა ჩავუფიქრდეთ ყველა ამას, თუ გვსურს კულტურულ ერთა შორის ჩვენი სახელიც იხსენიებოდეს.

დროა ჩავუკვირდეთ ევროპის პარტიების საქმიანობას და ბრძოლას!

განა იქ ისე უდიერად ექცევიან მოწინააღმდეგეს პიროვნებას, როგორც ჩვენში? განა იქ დაამცირებდენ ისე ადამიანს, როგორც ჩვენ ვსჩავდივართ?

ბოროტების ჩამდენს იქაურს რომელსამე მოღვაწეს, მხილების შემდეგ, არ დააცდიდენ განა თავი ემართლებია და შემდეგ, როცა გამტყუნდებოდა, მხოლოდ მაშინ ენათლათ სხვა და სხვა საწყენ სახელებითა და ეპიტეტებით.?

განა იქაურ თავისთავის პატივისმცემელ ორგანოში ამოიკითხავთ როდისმე: ჩვენი მოწინააღმდეგე მიიმალა სადღაც, თორემ საკადრისად გავუმასპინძლდებოდითო; ან: გაბედეთ კიდევ ხელმეორედ ჩვენ წინააღმდეგ გამოლაშქრება და ვნახოთ, თუ ეს საქმე ძვირად არ დაგიჯდეთო?

დიაღ! მხოლოდ ჩვენში ღებულობს უკუღმართ და მახინჯ სახეს ყოველივე ბრძოლა და ყოველივე კამათი.

ნუ თუ ეს სავალალო მდგომარეობა არ არის?

როდემდის უნდა გასტანოს ამ ველურობამ?

ნუ თუ არავის ჩვენთაგანს არ მოსდის ფიქრად, თუ როგორ ვწამლავთ ჰაერს და რანაირ მემკვიდრეობას ვუტოვებთ მომავალ თაობას? ბარემ დავერიოთ ერთმანეთს, გადმოვუღლაგოთ ყველა ჩვენ მოღვაწეს მთელი მისი კერძო ცხოვრება, ყოველი გარეგანი ფაქტი სხვადასხვანაირ დასაწუნ ფერადებით შევკაზმოთ, არ დავივიწყოთ ჩვენი ძველი და ახალი დროის საზოგადო მოღვაწეებიც, გადავშალოთ მათი წარსული ცხოვრება, თუ სასურველი საძრახი ფაქტები არ აღმოაჩნდეთ, ჩვენ თვითონ შევთხზათ და დავხატოთ ამნაირად დიდებული სურათი დიდებული ხალხისა!..

მაშინ კი უეჭველად განვამტკიცებთ ჩვენში კულტურას, მოქალაქეობრივობას და მოვიპოვებთ მთელს განათლებულ ქვეყნების პატივისცემას...

გონიერო ხალხო გესმით კი, რას სჩადიხართ?!..

* * *

სიღნაღის საქალაქო არჩევნებმა ხელახლა აალაპარაკა საზოგადოება და დააწყებინა ბაასი ქართველ-სომეხთა ურთიერთობის შესახებ. ორივე მხრიდან კიდევ დაიწყო ერთიერთმანეთის მტყუნება და არა-საკადრისი ყაყანი. ჩვენ წინანდელივით დარწმუნებული ვართ, რომ ქართველებსა და სომხებს შუა ყოველთვის შეიძლება განმტკიცდეს ძმური კავშირი. თუ ახლა სომხის ერის შეძლებული ნაწილი სარგებლობს თავის მდგომარეობით საქალაქო საზოგადო წყობილებაში ხშირად ქართველ დემოკრატიის ინტერესების წინააღმდეგ, ეს მხოლოდ არსებული კანონების წყალობით, რადგანაც ეს კანონები ჰქომაგობენ საზოგადოდ შეძლებულ კლასებს. ამიტომ, როცა ვლაპარაკობთ სომეხ-ქართველთა ურთიერთობაზე, ჩვენ ვამყარებთ ჩვენს იმედს ორივე ერის მხოლოდ და მხოლოდ დემოკრატიაზე.

ორივე ერის დემოკრატიულ პრესას, თუ სწამს ეს ურთიერთობა, უნდა ამ შემთხვევაშიაც მიუკერძველად გამოერკვია ყველა გარემოება და საჯაროდ წარმოეთქვა თავისი აზრი. მაშინ შეიქმნებოდა ნამდვილი საზოგადოებრივი აზრი, რომლის წინაშე ქედს მოიხრიდა თუ ყველა არა, უმრავლესობა მაინც. მიუკერძველი გამოკვლევა კი დაანახვებდა მას, რომ სიღნაღის საქალაქო თვითმმართველობაში გაბატონებულმა ელემენტმა უმტყუნა წმინდა დემოკრატიულ პრინციპს. მან ქალაქი განზრახ გაჰყო 2 უბნად. პირველში მოაქცია შეძლებული ელემენტი, რომელიც ამ შემთხვევაში უმთავრესად სომხის ერს ეკუთვნოდა და მეორეში კი ნაკლებ შეძლებული ამომრჩევლნი, რომელნიც თითქმის ყველანი ქართველ ერს ეკუთვნოდენ (1-ში იყვნენ 375 ამომრჩეველი, 2-ში კი—550). პირველს უბანს მიაკუთვნეს 9 ხმოსნის ამორჩევა მიუხედავად ამომრჩეველთა რიცხვის სიმცირისა და მეორე უბანს-კი—6 ხმოსნისა მიუხედავად ამომრჩეველთა რიცხვის სიმრავლისა. ჩვენის აზრით ეს ისეთი მოვლენაა, რომელიც არ უნდა იყოს მოსაწონი არც ერთს ჭეშმარიტ დემოკრატისათვის, რომელ ერსაც უნდა ეკუთვნოდეს იგი ქართველსა, თუ სომეხსა, ინგლისელსა, თუ იტალიელსა, პაპუასსა, თუ ჰოტენტოტსა. ასეთი ქცევა შეძლებულ ელემენტისა მავნებელია ყველასათვის და ჭეშმარიტ დემოკრატიული პრესაც ვალდებულია პირნათლად აღიაროს იგი, თუ სურს თავის სახე წმინდა შეინარჩუნოს. ასე ხელოვნურად მოწყობა საქმისა შეძლებულების ინტერესების დასაცავად მხოლოდ ძირს უთხრის დემოკრატიის გამარჯვებას და მაშასადამე პროგრესს ჰღალატობს.

ჩვენ მოვუწოდებთ სომხისა და ქართულ დემოკრატიულ ორგანოებს გამართონ თათბირი, გამოარკვიონ ყველა გარემოება და დაჰგმონ ის, რაც დასაგმობი აღმოჩნდება.

ბრძოლა საპარლამენტო სიტყვის თავისუფლებისათვის

სათათბიროს 22 აპრილის სხდომა დაუვიწყარი იქნება რუსეთის ისტორიაში... მოხდა დიდი ამბავი, რომელმაც მთელი ქვეყნიერობა აალაპარაკა.

სათათბიროს სხდომა გაიხსნა 11 საათზე. ჰაერი გაჟღენთილი იყო წამლის სუნით. მინისტრების ლოჟაში თითქმის მთელი კაბინეთი იჯდა მთავარ-მინისტრ გორემიკინის მეთაურობით.

როგორც კი გაიხსნა სხდომა, დეპ. კ. ჩხეიძემ შეიტანა წინადადება ბიუჯეტის განხილვა გადადებულიყო და ახლა შესდგომოდენ სადეპუტატო სიტყვის თავისუფლების კანონპროექტის გარჩევას. კ. ჩხეიძემ კარგა ხანს ილაპარაკა კანონპროექტის განხილვის საჭიროების შესახებ. მან სთქვა, სხვათა შორის, რომ უკანასკნელ დროს არა თუ ნებას არ აძლევენ დეპუტატებს ილაპარაკონ დემოკრატიულ რესპუბლიკაზე, არამედ საზოგადოდ სახელმწიფო წესწყობილებაზე, მონარქიაზე, და კონსტიტუციაზედაც თავმჯდომარე როძიანკომ სიტყვის უფლება ჩამოართვა კ. ჩხეიძეს.

შემდეგ ილაპარაკა ს.-დემ. დეპ. მალინოვსკიმ, რომელმაც განმარტა, სხვათა შორის, რომ ხსენებული კანონპროექტი საჭიროა არა მარტო მემარცხენე დეპუტატებისათვის, არამედ ყველა დეპუტატებისათვის. მერე ილაპარაკა შრომის ჯგუფის სახელით ვარლამ გელოვანმა. მან სთქვა: ჩვენთვის სამჯობინაროა დავიღუპოთ სახალხო უფლებათა მოპოვებისათვის ბრძოლაში, ვიდრე დავუთმოთ ჩვენს მტრებსო.

სათათბირომ უარჰყო წინადადება კ. ჩხეიძის და ოპოზიციისა ხსენებულ კანონპროექტის შესახებ 140 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 76-ისა.

შემდეგ შეუდგნენ ბიუჯეტის განხილვას. დაიწყო ლაპარაკი მომხსენებელმა, პროგრესისტმა რჟევსკიმ. მის ლაპარაკის დროს ს.-დემოკრატები და შრომის ჯგუფელები გავიდენ დარბაზიდან სალაპარაკოდ, საერთო ტაქტიკის შესამუშავებლად. როცა რჟევსკი ათავებდა თავის სიტყვას, ხსენებული დეპუტატები ისევ დაბრუნდენ დარბაზში. გაათავა თუ არა ლაპარაკი ბ. რჟევსკიმ, მთავარ მინისტრმა გორემიკინმა მოითხოვა სიტყვა.

როგორც კი გააღო პირი სალაპარაკოდ ბ. გორემიკინმა, დაიწყეს უკიდურესმა მემარცხენეებმა ხმაურობა და პიუპიტრების ბრახუნი. არ ისმოდა არც გორემიკინის, არც თავმჯდომარე როძიანკოს სიტყვები.

ამაოდ აშინებდა და აშოშმინებდა თავმჯდომარე ობსტრუქციონისტებს.

—ძირს, ჩვენ მას არ ვალაპარაკებთ,—ჰყვიროდენ მარცხნივ.

როძიანკომ განაცხადა გავაძევებ სათათბიროდან დიდის ხნით იმათ, ვინც წესრიგი დაარღვიაო. ამავე დროს თავმჯდომარე მიუბრუნდა ბ. გორემიკინს ბოდიში მოიხადა მის წინაშე. გორემიკინი ჩამოვიდა ტრიბუნიდან. მემარცხენეები კი ტაშს უკრავდენ ამ დროს და „ბრავოს“ ჰყვიროდენ.

ბ. როძიანკომ წინადადება მისცა სათათბიროს გაეძევებინა ყველა ობსტრუქციონისტები 15 სხდომიდან. დაუწყო მათ თითო-თითოს გამოხმობა.

პირველად უხმო ს.-დ. სკობელევს, რომელმაც ვერ დაათავა სიტყვა. თავმჯდომარემ ნება არ მისცა განეგრძო ლაპარაკი. იგი გააძევეს 15 სხდომიდან. შემდეგ იხმო შრომისჯგუფელი სუხანოვი, რომელმაც განაცხადა, რომ ემხრობა პროტესტანტებს. ესეც გააძევეს იმავე ხნით.

გააძევეს აგრეთვე ს.-დემოკრატები მალინოვსკი, ხაუსტოვი, ტულიაკოვი, მურატოვი.

როცა ჯერი მიდგა შრომისჯგუფელ რუსანოვზე, ამან განაცხადა წეს-რიგი არ დამირღვევიაო. თავმჯდომარემ ის არ განაძევა. (ამ შემთხვევამ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა, ბ. რუსანოვი იძულებული გახდა გამოსულიყო ჯგუფიდან).

შემდეგ ტრიბუნაზე გამოვიდა აკ. ჩხენკელი, რომელმაც, სხვათა შორის, მიჰმართა სათათბიროს უმრავლესობას შემდეგი სიტყვებით: „განა შეიძლება თქვენთან ლაპარაკი სიტყვის თავისუფლებაზე, რომელსაც არავითარი წარმოდგენა არა გაქვთ მასზე, როდესაც თქვენ იყავით მონები და გსურთ დარჩეთ მონებათვე... თქვენ პასუხს გასცემთ ხალხს თქვენი ასეთი ქცევისათვის“. ჩხენკელს რამდენჯერმე შენიშვნა მისცა თავმჯდომარემ, როდესაც დეპ. ჩხენკელმა განაცხადა, რომ მას მეტად მიაჩნია ლაპარაკი კამერლაქიებისა და მინისტრების მეჯინიბეების წინაშე, ბ. როძიანკომ მას სიტყვის უფლება წაართვა. აკ. ჩხენკელმა ხელ-ახლა მიჰმართა უმრავლესობას ამ სიტყვებით: „როგორ საბრალოა თქვენი სიტყვები და თქვენი სახეები“. თავმჯდომარე წინადადებას აძლევს მას დასტოვოს დარბაზი.

—თქვენ იძულებული იქნებით გამიყვანოთ აქედან, თვითონ კი არ გავალ—აცხადებს აკ. ჩხენკელი.

მასთან მოდის სათათბიროს ბოქაული ბარონ ფერზენი და სთხოვს დაემორჩილოს თავმჯდომარის განკარგულებას.

ჩხენკელი უარზეა.

როძიანკო სწყვეტს სხდომას. მემარცხენე ფრაქციის წევრები მიდიან სათათბიროდ, ჩხენკელი კი ზის თავის ალაგზე. გადის ნახევარი საათი. როძიანკო ხსნის სხდომას. სათათბიროს ბოქაული, თავმჯდომარის მინდობილობით, კიდევ ეკითხება ჩხენკელს, დასტოვებს ნებაყოფლობით დარბაზს, თუ არა. ჩხენკელი უარს აცხადებს და მშვიდად განაგრძობს თავის სიტყვის სტენოგრამის სწორებას, დარბაზში სიჩუმეა.

ძალით გაძევებული დეპუტატები

სახ. სათათბიროდან 22 აპრილს 1914 წ.



1. ნ. ს. ჩხეიძე, ჟურნალისტი ს. დემოკრატი. 2. აკ. ჩხენკელი, ჟურნალისტი ს.-დ. 3. თ. კერენსკი, ნაფ. ვექ. შრომისჯგუფელი. 4. გ. ი. პეტროვსკი, მუშა-ხარატი, ს.-დ. 5. ა. ი. რისლევი. ს.-დ. 6. ნ. რ. შაგოვი, მუშა, ს.-დ. 7. ი. ნ. მანკოვი, ს.-დ. 8. მ. ი. სკობელევი, ინჟინერი ს.-დ. 9. ი. ნ. ტულიაკოვი, ზეინკალი ს.-დ. 10. მ. კ. მურანოვი, ზეინკალი, ს.-დ. 11. რ. ვ. მალინოვსკი, ზეინკალი, ს. დ. 12. ა. ფ. ბურიანოვი, ხარატი, ს.-დ. 13. ე. ო. იაგელლო, ხარატი, ს.-დ. 14. ვ. ი. ხაუსტოვი, ხარატი, ს.-დ. 15. ვერშინინი, ვაჭარი, შრ.-ჯგ. 16. ნ. ო. იანუშკევიჩი, მეურნე, შრ.-ჯგ. 17. ვ. ი. ძიუბინსკი, აქციზის ზედამხედველი, შრ.-ჯგ. 18. ვ. ლ. გელოვანი, ნაფ. ვექ. შრ. ჯგ. 19. ფ. ო. კეინისი, ნოქარი, შრ.-ჯგ. 20. ა. ს. სუხანოვი, წიგნების ვაჭარი, შრ.-ჯგ. 21. დ. დ. სტარლიჩანოვი, მასწავლებელი: შრ.-ჯგ.

როძიანკო აცხადებს: რადგანაც სათათბიროს წევრს ჩხენკელს არა სურს დაემორჩილოს ჩემს განკარგულებას, მე ვსტოვებ თავმჯდომარის სავარძელს და ვაძლევ წინადადებას სასახლის დარაჯთა უფროსს მიიღოს ზომები ჩხენკელის გასაძევებლად. როძიანკო ჩამოდის ტრიბუნიდან, ყველა დეპუტატები სხედან თავ-თავიანთ ადგილებზე. დიდი სიჩუმეა გამეფებული დარბაზში.

დარბაზში შემოდის დარაჯთა უფროსი ბარონ ოსტენ-საკენი და მოჰყავს შეიარაღებული 14 ჯარისკაცი, რომელნიც გარს ერტყმიან ჩხენკელს. დარაჯთა უფროსი წინადადებას აძლევს ჩხენკელს დასტოვოს დარბაზი.

ჩხენკელი აცხადებს, რომ იგი იძულებულია დაემორჩილოს ძალადობას, სათათბიროს დეპუტატებს კი მონებს უძახის.

ჩხენკელის გაძევების შემდეგ თავმჯდომარე მიჰმართავს ბ. გორემიკინს, მაგრამ, როგორც კი მთავარ-მინისტრი ადის ტრიბუნაზე, მემარცხენეები იწყებენ ხმაურობას და პიუპიტრების ბრახუნს. თავმჯდომარე ორჯერ სწყვეტს სხდომას და ჯუგ-ჯუფად აძევებენ დეპუტატებს დარბაზიდან. ზოგი მათგანი ნება-ყოფლობით სტოვებს დარბაზს ზოგიც ძალ-დატანებით. დარაჯები **სამჯერ** კიდევ შემოჰყავთ დარბაზში.

გაძევებულნი არიან 15 სხდომიდან ს.-დ. დეპუტატები ჩხეიძე, იაგელლო, პეტროვსკი, შაგოვი, ბურიანოვი, შრომისჯგუფელები კერენსკი, რისლევი, იანუშკევიჩი, ძიუბინსკი.

ჩხეიძემ სხვათა შორის, სთქვა: დღეს, აი ამ ტრიბუნიდან, ილაპარაკა ადამიანმა, რომელიც მთავრობის სათავეში იდგა მაშინ, როდესაც აქ პირველი სათათბირო ბჭობდა... (დიდი ტაშისკვრა მარცხნივ) და ამ ადამიანმა მოჰკლა იმ დროს სახალხო წარმომადგენლობის იდეა. (ხმა მარჯვნივ: რევოლიუცია). იმ დროს ბატონობდენ სათათბიროში თქვენ კი არა, არამედ სახალხო თავისუფლების ფრაქციის წარმომადგენლები, ე. ი. კადეტები. (ხმა მარჯვნივ: „სწორეა!“) დღეს ამ ტრიბუნაზე ავიდა იგივე პირი, რომელიც დღევანდელ მთავრობას უდგია სათავეში და იმავე სასიკვდილოდ გაიმეტა თავისუფლების უკანასკნელი ნაშთი, სადეპუტატო სიტყვის თავისუფლება. და აი ეს პირი, ბატონებო, დღეს ცდილობს მონახოს საერთო ენა თავის და სახალხო წარმომადგენლების შუა. ჩვენი მხრით დანაშაული იქნებოდა, პროტესტი რომ არ გამოგვეცხადებინა ასეთ განზრახვის წინააღმდეგ. თქვენს წინ იყო საკითხი: ვისთან იქნებოდით, იმასთან, თუ ჩვენთან? თქვენ იმას გამოუცხადეთ თანხმობა: ჩვენ ამას გილოცავთ და ვუთითებთ ჩვენს ქვეყანას. ეს ქვეყანა ღირსეულად შეაფასებს ასეთ თანხმობას (დიდი ტაშისკვრა მარცხნივ). ამის შემდეგ კ. ჩხეიძე დარაჯებს გაჰყავთ დარბაზიდან.

მემარცხენეების გაძევებისათვის ხმა მისცეს ყველა მემარჯვენეებმა, ყველა ერობელ-ოქტომბრისტებმა, ყველა „მემარცხენე“ ოქტომბრისტებმა. პროგრესისტებმა დეპ. ეფრემოვთან ერთად ხმა მისცეს დეპ. სკობელევის გაძევებას. თანდათან პროგრესისტები ხვდებოდენ, რომ ეს არ უნდა ექნათ და კადეტებთან ერთად აღარ მიუღიათ კენჭისყრაში მონაწილეობა.

მხოლოდ მაშინ, როდესაც მემარცხენე დეპუტატები გააძევეს სათათბიროდან, მთავარ-მინისტრმა გორემიკინმა შესძლო სიტყვა წარმოეთქვა. სიტყვა გამოვიდა მეტად მკრთალი. მან სალამი მიუძღვნა სათათბიროს, გამოსთქვა სურვილი, რომ სათათბირომ და მთავრობამ „მეგობრულად და ერთად“ იმუშაონ და მიიპატიჟა დეპუტატები: ჩემი სახლის კარი ყოველთვის ღიაა და საბაასოდ მობრძანდითო. მემარჯვენეებმა და ცენტრის ნაწილმა ტაში დაუკრეს, მემარცხენე მხარეზე კი გაისმა სტვენა. გორემიკინის შემდეგ ილაპარაკეს ფინანსთა მინისტრმა ბარკმა და კადეტმა შინგარიოვმა. ბ. შინგარიოვის სიტყვა უფრო საყურადღებო იქნებოდა, რომ იმ დღეს არ წარმოეთქვა, როდესაც ყველანი მოელოდენ, რომ კადეტებიც მემარცხენეებს გაჰყვებოდენ.

გაძევებულმა დეპუტატებმა მიიღეს მრავალი თანამგრძნობი დეპეშები. სხვათა შორის კ. ჩხეიძის სახელობაზე გერმანიის პარლამენტის ს.-დემოკრატიულმა ფრაქციამ გამოუგზავნა შემდეგი დეპეშა: „მიიღეთ ჩვენი სალამი და თანაგრძნობა თქვენს ბრძოლაში“.

პეტერბურგის და ზოგიერთ სხვა ქალაქების მუშებიც თანაგრძნობის გამოსახატავად ერთი დღით გაიფიცნენ. გაფიცულთა რიცხვი ავიდა 250,000-მდის.

კადეტების ქცევა დაჰგმეს კიევის და ზოგიერთ სხვა ქალაქის მათმა თანამოაზრეებმა.

ახალი ამბები

სოხუმის საქალაქო საბჭო შუამდგომლობს მთავრობის წინაშე ქ. სოხუმი გადაკეთდეს საგუბერნიო ქალაქად და ოლქის მაგიერ დაწესდეს სოხუმის გუბერნია. უმაღლეს მთავრობას კი სურს გუბერნიის ქალაქად გამოაცხადოს დ. სოჩა და მას შეუერთოს სოხუმის ოლქი.

ჩვენ დანამდვილებით გადმოგვცეს, რომ „თბილისის ლისტოკის“ რედაქციას მახლობელ თანამშრომლად ეს ერთი ხანია მოწვეული ჰყავს „ცნობილი“ რედაქტორი შავრაზმული გაზეთის „ჩერნომორსკი ვესტნიკისა“ გრ. პალმი. ეს გაზეთი გამოდიოდა ქ. ბათუმში მოძრაობამდის. „თბ. ლისტოკის“ რედაქციას ეტყობა დაჰვიწყებია, რომ არის პრინციპები, რომელნიც სავალდებულო უნდა იყვენ „თბ. ლისტოკისათვისაც“ კი.

27 აპრილს ქუთაისის თეატრში, როდესაც პ. გელეიშვილი კითხულობდა თავის ლექციას ილია ჭავჭავაძის შესახებ, დამსწრეთა ერთმა ნაწილმა ობსტრუქცია გაუმართა. ლექტორი იძულებული გახდა ლექცია შეეწყვიტა.

ჩვენმა რედაქციამ გადასწყვიტა გამოსცეს პოეტ ბალმონტის საუკეთესო ლექსთა კრებული **ქართულად**. რედაქცია სთხოვს იმ პოეტებს, რომელთაც თარგმნილი აქვთ ან განზრახვა აქვთ სთარგმნონ კ. ბალმონტის ლექსები, გამოუგზავნონ თარგმანები მას ახლავე ან შეატყობინონ, როდის გამოუგზავნიან.

რუსეთის მრავალ ქალაქში 1 მაისს მოხდა გაფიცვა.

ჟურნალ „კავკაზსკაია სკოლის“ 4—5 და 6 ნომერში დასტამბულია საზიზღარი პამფლეტი თბილისის უმაღლეს საქალებო კურსების პროფესორთა და გამგეთა შესახებ. ავტორად ერთ გაგდებულ ლექტორს სთვლიან. სწორედ გასაკვირალია, რომ ამგვარ წერილებს ადგილი აქვთ პედაგოგიურ ჟურნალში. თბილისის რუსული პრესა კარგს იზამდა კინკლაობის მაგიერ სამარცხვინო წერილისათვის ყურადღება მიექცია და დაეგმო.

გუშინ ნაშუადღევის 1 საათზე ნავთლუღში საძირკველი ჩაუყარეს კავკასიის პოლიტეხნიკუმის შენობას.

გუშინ ქაშვეთის ეკლესიაში გადაიხადეს პანაშვიდი განსვენებულ მწერლის ანტონ ფურცელაძის სულის მოსახსენებლად მისი გარდაცვალების 6 თვის შესრულების გამო.

ქართველ მსახიობთა ამხანაგობა გაემგზავრა პროვინციაში. ამხანაგობას შეადგენენ მარო მდივნისა, ნატ. ჯავახიშვილისა, ვალ. გუნია, ვ. შალიკაშვილი, ვას. ურუშაძე, იუზა ზარდალიშვილი და სხვ პირველი წარმოდგენა გაიმართება გორში, შემდეგ ყვირილაში, ქიათურაში, ქუთაისში, ხონში, სამტრედიაში, სენაკში, ფოთში, ბათუმში, ოზურგეთში და ლანჩხუთში.

ტყისდამცველი კანონი გაავრცელეს ქუთაისის გუბერნიაზედაც. ეს გარემოება უნდა იქონიონ სახეში იმათ, ვინც დღეს უდიერად სჩეხავს იქაურ ტყეებს.

ლეღვნის და ბჟათუბნის სასოფლო საზოგადოების (შორაპნის მაზრის) მცხოვრებლებმა შუამდგომლობა აღძრეს წვრილი კრედიტის საქმეთა ქუთაისის კომიტეტის ხსენებულ საზოგადოებებში წვრილი კრედიტის საზოგადოების გახსნ შესახებ.

კუკიის წმ. ნინოს უბნის უფასო სამკითხველოს გამგეობა 14 მაისს ზუბალაშვილების სახალხო თეატრში ჰმართავს დილას. გერონტი ქიქოძე წაიკითხავს ლექციას „პოეზია და სინამდვილე“, ახალგაზრდა მწერლები წაიკითხავენ თავიანთ ლექსებს, ბ. სალირაშვილი დაუკრავს თარზედ, ბ. გოცირიძე და ფირუმიანი წაიკითხავენ სახუმარო კუპლეტებს. მონაწილეობს აგრეთვე ქართველ მომღერალთა გუნდი მ. კავსაძის ლოტბარობით. იმედია ქართველი საზოგადოება დაესწრება ამ დილას და მით შეუწყობს ხელს ამ ახლად დაარსებულს სამკითხველოს.

გამოხმაურება

(მასწავლებლების საყურადღებოდ)

ჟურნალ „განათლების“ აპრილის ნომერში მოთავსებულია მასწავლებლებისათვის ფრიად საგულისხმო წერილი შემდეგის სათაურით: „საჭიროა მასწავლებელთა კავშირების დაარსება“ ვ. ოზნელისა. დიდი ხანია, რაც თვით ცხოვრებამ მოითხოვა მასწავლებლებისაგან ერთმანეთთან დაახლოვება, ერთმანეთში სულიერი კავშირის დამყარება, ერთი გზით, საერთო ძალით და წინასწარ შემუშავებული გეგმით იმ დიდი საქმის სამსახური, რომელიც მათ ჰხვდათ წილად; მაგრამ მასწავლებელი ამ ცხოვრებისაგან წამოყენებულ საკითხს ბრმად შეხედა, ყურები მოიყრუა, თავი მოიმკვდარუნა,—ცხოვრება კი არ ჩერდება, ის წინ მიდის და ყოველთვის თავისი გააქვს, მისი მსვლელობის შეჩერება ადამიანთა ხელთ არ არის;—ის ეხლა უფრო სასტიკად შეებრძოლა მასწავლებელს და მოითხოვს მას-

ნადირობა

უძღვნი სამეგრელოს თავად ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძეს.

ერთ ზაფხულს სამეგრელოს თავადმა ამიწვია გორდში რამდენიმე დღით, მაგრამ ის რამდენიმე დღე რამდენიმე კვირად გადაჰქცა. „ამ თვის დამლევს სანადიროდ მივდივარ და თუ არ წაგიყვანე, არ იქნებაო“.—დანიშნულ დროს, მართლა ავეკაზმეთ განთიადისას და გაუდექით გზას. თურჩუმდი, სადაც უნდა გვენადირნა, გორდიდან სულ სამი ვერსტი თუ იქნებოდა გზა სულ სიმღერით გადავიარეთ; იმღერდენ თავადისაგან გამოთქმულ ლექსს და სასიმღერო კილოც იმისივე გამოგონებული იყო. ეს ლექსი ამ სიტყვებით იწყებოდა:

„წავიდეთ ვინადიროთ და თავი შევიქციოთ!
მოვკლათ ბევრი დათვები
მოვიტანოთ თავები“ და სხვანი.

სამეგრელოს თავადი პირველი ხმა იყო, დამწყები, ახალგაზდა მეგრელები ზოგი მოძახილს მიაყოლებდენ და სხვები ბანს ეუბნებოდენ. სიმღერა მართლა რომ საამური გამოდიოდა. მივედით და მთის პირად ერთ ვაკეზე ჩამოვხტით. მონადირეები ადრე მისულიყვნენ და შუბებით ხელში მთების წვერები შეეკრათ, რომ დათვები არ ამოპაროდათ ქვეიდან. ჩვენ სეირის მაყურებლები დავსხედით ვაკეზე და როგორც ლოჟიდან პარტერს ისე გადავყურებდით დაბლისკენ მისარეკ ტყის კალთებს. თავადმა ნიშანი მისცა. ბუკსაყვირის ცემით და მომრეკლების ქოქანით დამფრთხალი დათვები გამოვიდენ სოროებიდან და მოაშურეს აღმართს, სერებს, მაგრამ იქ ყველგან მონადირეები დაუხვდენ შუბით ხელში და უკანვე დააბრუნეს. ერთად იმდენი დათვი მე ჯერ არსად მენახა. მარდი და მარჯვე მეგრელები თხებსავით მიირბენოდენ აღმოსავლეთისკენ, სადაც, მომარჯვებულ ადგილას, ჩასაფრებული იყო ღენერალი გრიგოლ დადიანი, სამეგრელოს თავადის ბიძა. მისი თოფი რომ გავარდებოდა, მერე უნდა დაწყებულიყო ერთიანი, საზოგადო ნადირობა. მართლაც გავარდა გრიგოლის თოფი და ორგვარი ხმა გამოსცა. ერთი დიდი უზარმაზარი დათვი გაკოტრიალდა მის წინ. მაშინ შეიქმნა საერთო ნადირობა: ასტყდა თოფების ჰუქა-ჰუქი აქეთ და იქით, გაღმით, გამოღმით, ყველგან და ნადირობა სულ ერთ საათში გათავდა. უცბად მანუჩარ ჩიქოვანმა დაიკივლა: „მონადირეებო! არიქა, აქეთ მიეშველეთო!“ ჩვენ, მაყურებლები, ვინც ვიყავით შევჰკრთით; მივიხედეთ და თქვენმა მტერმა დაინახოს ის დასანახავი, რაც ჩვენ დავინახეთ: მონადირეებს გამოპაროდა ერთი ლორ-დათვა და იქვე მახლობლად, სადაც ჩვენ ვიჯექით, ამოყო სერზე თავი. შეგვექნა ერთი წივილ კივილი; მე შიშით ენა ჩამივარდა. მხოლოდ ერთი, იქ ჩვენთან ერთად მაყურებლად მყოფი, ელისავეტპოლის ვიცე-გუბერნატორი, ვახტანგ გურამიშვილი არ გაშეშებულა; წამოვარდა ზეზე და უიარაღომ ხელ დახელ შეუტია ჩვენზე მომავალ დათვს; ერთი რუსულად შეაგინა მაგრად და ქუდი ესროლა ნადირს. დათვმა პირი წაავლო ქუდს და დაუწყო გლეჯა. კოკარდას არ მოერიდა. ამასობაში ახლოს მდგარმა შუბოსნებმაც მოასწრეს და გადაეღობენ წინ დათვს. დათვმა, რომ შეატყო გასაქცევი გზა აღარსადა მაქვსო, გაჯავრებული შევარდა ხეზე და იქიდან იწყო ჯუჯღური. შემოეხვიენ ირგვლივ ხეს მონადირეები და დაუწყეს ხეზე გასულს ჯავრობა: „ველარ წახვალ!.. ჩამოდი ძირს, შე დედაბერო!“ ცოტა ხნის შემდეგ, მართლა ჩამოვარდა საბრალო, მაგრამ თვალის დახამხამებამდი ოცზე მეტი შუბი შეერჭო გვამში. შექმნა ღრიალი და სულთა-მბრძოლმა, ტორები სწორედ ისე დაიჭდო გულზე, როგორც ადამიანს დაუჭდობენ ხოლმე ჯვარედინად. ახლა კი, გაგულადებული მაყურებლებიც ახლოს მიდგენ საყურებლად. სიამოვნებით კიჟინასა სცემდენ. მხოლოდ მე ვეღარ ავიტანე საცოდავობა და გავდეგი განზე მოშორებით. მოფანფალდა ჩემთან ერთი ღრმა-მოხუცებული ჩიქოვანი, თოფით ხელში და მითხრა: ბატონიშვილობაც იმათ!.. დიდ-კაცობაც იმათ!.. ღენარლობაც იმათ!.. ყოლიფერი იმათ და ჩვენ აღარაფერი? მონადირობის სახელიც იმას უნდა დავუთმოთ?

—არ მესმის, რას ამბობთ!.. ვუპასუხე მე.

—იმას, რომ შემოხვევიან გარს და გამარჯვებას ულოცვენ... ის დათვი მე მოვკალი.

—თქვენ?!

—დიახ მე!.. ეს მთა „თურჩუ“ სადავოა, ჩვენ, ჩიქოვანები, ნახევარს უჩივით მთავარს, როგორც საზიაროს. რომ გავიგე მონადირობას აპირებენო, რომ ფეხი არ ამოვიკვეთო და კანონმაც არაფერი მიხიმანგოს თქო (რა ვიცი რუსობაა ახლა,) წამოვლოღიალდი მეც ამ ჩემი თოფით და სადაც ბატონიშვილი იჯდა ჩასაფრებული, მივეპარე სიახლოვეს და მეც ამოვეფარე ხეს, თვარა რაღა დროს ჩემი ნადირობაა აგერ ოცდა ათი წელიწადია თოფი ხელში არ ამიღია.

—მერე? მერე?

—მერე, რა მერე? ბატონიშვილის თოფთან ჩემი თოფიც ერთად გავარდა, მისმა ტყვიამ ჰაერში გაიზუზუნა და ჩემი კი მივიდა ნიშანში.

—რა იცი?

—დავამოწმე!.. მარცხენა ფერდი ამოვიღე ნიშანში და რომ მივედი, დავათვალიერე, სწორეთ, იმ ჩემ ნიშანში ამოღებულ ფერდში, ჰქონდა ტყვია მიმჯდარი.

—რა ვუყოთ მერე? განა არ შეიძლება, რომ იმასაც მარცხენა ფერდში ამოეღო ნიშანში.

—რატომ არა, მაგრამ ტყვიას რაღას ეტყვი. სად ტუთრას დიდი უშველებელი ტყვია? და სად ჩემი მაჯახელას პატარა ტყვია? ნახეთ! დაამოწმეთ და თუ ჩემი მაჯახელას ტყვია არ გამოდგეს, მომკალით.

—ვსთქვათ, რომ ანგრეა, მაგრამ ახლა ეგ გამომჟღავნდეს... დაუთმე!..

—მე, რასაკვირველია, არც რამეს ვიტყვი, მაგრამ ბატონმა ნიკომ რომ შეიტყოს ივაკას მოკლულია ის დათვიო, ის კი მინდა სწორეთ და ჩუმათ გადაეცი შენი ჭირი შემეყაროსო. სამეგრელოს თავადს რომ ეს ამბავი გადავეცი, ბევრი იცინა: „დედოფალი ნუ მომიკვდება დარწმუნებული ვარ, მაგრამ ახლა რომ ეგ გახმაურდეს, ხომ მოკვდა ბიძაჩემი?!.. ვერა ხედავ რა გახარებულია? თითქოს ის დათვი მოეკლას, ქვეყანას რომ აზის და ინელებს!.. არა! არა! ნულა ჩამოვართმევთ დღევანდელ გამარჯვებას. გადაეცი ივაკას, ოღონდ გაჩუმდეს და ერთი ქაკი-ცხენი მიჩუქებია მისთვისო“.

ბატონის წყალობა იმა მოხუცს, და სიცილით მითხრა: ვინ ოხრის შვილი ხმას გამოიღებს? ენაზე კლიტეს დავადებ და პირველი კვიციც, როცა ბატონის წყალობით ქაკი დამიმაკდება, თქვენთვის მომირთმევიაო. მე მადლი გადავუხადე და ვუთხარ: არა, ჩემო ბატონო! ეგ სრულიად საჭირო არ არის!.. ქაკიცა და კვიციც ორივე შენ მოგახმაროს ღმერთმათქო.

მოკლული დათვები ამოიტანეს მაღლობზე და მოაგროვეს. სულ ცხრამეტი გამოდგა. გააკეთეს საკაცეები, დაალაგეს სათითაოდ დათვები, შეუყენეს ოთხ-ოთხი კაცი და მწკრივად წაიღეს გორდისკენ. ყველაზე პირველად მიჰქონდათ ვითომ გრიგოლის მოკლული დათვი. ბაჩაზე გადამჯდარი გრიგოლი, როგორც ტრიუმფატორი, წინ მიდიოდა. შუა-დღი გადასული იყო გორდში რომ ჩავედით. დედოფლისთვის წინდაწინვე შეეტყობინებინა მახარობელს ჩვენი გამარჯვების ამბავი. შესაფერი სადილი მოემზადებიათ. სუფრა ფანჩატურში გაეშალათ, გარეთ, რადგანაც სიცხე იყო; ჩვენ, დიახ მადა გახსნილები მიუჯექით სუფრას და გაიმართა ნადიმი ძველებური მამა პაპური. ჯერ სანამდი არ დავნაყრდით და ნუნუამაც არ შეგვირიკინა თავში, ხმას არ ვიღებდით; მერე კი ყველა გავმხიარულდით და წამოვიდა ლხინი... ლხინი ქართული, რომლის მზგავსი დღეს აღარსად არის... ლხინის მიზეზი იმ დღეს, რასაკვრელია, გრიგოლი იყო.

დედოფალმა აიღო ხელში პატარა ოქროს თასი და მომხიბლავის ღიმილით მიუბრუნდა გრიგოლს: „ჩემო მაზლო, ღმერთმა ყოველთვის გამარჯვებით გარონიოსო“. მე და ნიკო ცოტა მოშორებით ვიჯექით ერთად მათგან ჲ სამეგრელოს თავადმა ღიმილით გადმომიჩურჩულა, ეგ სულ გამარჯვებული დადის!.. მაგის მაგიერ სხვები იმარჯვებენ!.. ერთ სროლასაც არ დასწრებია და სრული ღენერალია, აი დღეს დათვი საბრალო ჩიქოვანმა მოჰკლა და მაგას ულოცავენ. ამაზე მეტი გამარჯვება იქნება? ახლა კი მეც უნდა დავლიო მისი სადღევრძელო, მაგრამ ურა კი უნდა დავძახოთ... ღენერალია და იმება... ვაშა არ ეკადრება! სამეგრელოს თავადისაგან წარმოთქმულ სადღეგრძელოს მოჰყვა ერთი სადღეგრძელო და ბევრი სიტყვა წამოითქვა. მეგრელები მჭევრ მეტყველებით განთქმულები არიან, მაგრამ მათ სიტყვებში რაღაც ტყუილები გამოისმოდა. გრიგოლს არ შეუნიშნავს ესა და თავმოკატუნებით ამოიხვნეშა და სთქვა: მოლა ნასრედინის თქმისა არ იყოს, ვისაც ჩემი სიყმაწვილე არ უნახავს, ღმერთმა სიბერე ნუ აჩვენოსო, რაღა ვარ ახლა?..

სამეგრელოს თავადი წამოხტა და გააწყვეტია სიტყვა: ბიძაჩემო, ნიბა მიბოძეთ გავკადნიერდე და რუსთველის სიტყვები, მოგახსენო.

...მეფეო, რად ჰბრძანეთ თქვენი ბერობა!
ვარდი თუ გაჰხმეს, ეგრეცა გვმართებს რაზომცა ჯერობა,
მისივე ჰმეტობს ყოველსა სული და ტურფა ფერობა,—
მთვარესა მცხრალსა ვარსკვლავმან ვითამცა ჰკადრა მტერობა!

დღეს ჩვენ ამდენ ახალგაზდებს გადაგვაჭარბე და გამოგვავლე ჩალა პირში.

—მეც რუსთველის სიტყვებით გიპასუხებ ბიძია: რაღაა იგი სინათლე, რომელსაც ახლავს ბნელია. ჩემი პური მოჭმულია. ნიკო თუ გიყვარდე ის დათვი გაატყავებიე და უბძანე, რომ ახლავე დაასილაქნონ. ტყავი უნდა „ველიკი კნიაზს“ გავუგზავნო, პასუხად მათ ხუმრობისა: შარშან ყარაიაზში ვიყავით სანადიროდ და დათვი დავჭერი, მაგრამ არ დამიჯერა: კაზაკის დაჭრილი იქნებაო, სიცილით მიბრძანა. ახლა ხომ ვეღარ იტყვის არაო?

—აი როგორ იწერება ისტორია!—წაილაპარაკა ნიკომ რუსულად და გასცა ბრძანება, რომ ტყავი დაესილაქნებინათ.—მეორე დღეს შევედით დედოფალთან გამოსათხოვრად, მაგრამ ცხონებულმა შორს დაიჭირა, რა მიგაჩქარებთ ახლა ქუთაისში ცხელა და აქ კი საამური ბუნება არისო.

—თუ ჩვენთან არ მოგეწყინა სხვებ აქ გირჩევნია, ბუნება კარგია, ქუაშურის კალმახს და ოჯოლეშს არ მოგაკლებთ და ეს ზაფხული ჩვენთან გაატარეო.

ეს ისეთი გულწრფელი ღიმილით მიბრძანა, რომ უარი ველარ გავუბედე ჲ დავრჩი. მას აქეთ ოცდაათ წელიწადზე მეტია და არ მახსოვს, რომ ისე სიამოვნებით სადმე ზაფხული გამეტარებინოს.

აკაკი.

გან სრულს გამოფხიზლებას; ცხოვრებამ, დროთა სრბოლამ მასწავლებელს ეხლა უფრო მწარე მუჯლუგუნი წაჰკრა, მაგრამ მასწავლებელი დღესაც ყურს არ იბერტყავს, ის ისევ ძველებურად, დღესაც კმაყოფილია თავისი მდგომარეობით; კმაყოფილია თავისი ბრჭყიალა ყვითელი ფოლაქებით, თვიურად 30-მანეთ ჯამაგირით, გასპარიანც-კრუპსკის „პოხვალნი ლისტოკებით“ და საჩუქრებით; უფროსების გულის მოსაგებად შეჩვია მათ ლაქუცს. ეს კიდევ ცოტაა, უფროსების ყურადღება რომ დაიმსახურონ, ზოგი მასწავლებელი მზადაა ყოველივე სამარცხვინო ჩაიდინოს; და ცოტა რამ ჩაიდინეს? ნუ თუ ზოგიერთივე მასწავლებლებისავე წყალობით არ თარეშობდა გურიის სკოლებში ცნობილი გასპარიანცი? რა საშუალების დახმარებით წინააღუდგენ მასწავლებლები გასპარიანცის გამარუსებელ პოლიტიკას, მის მიერ სკოლებში შემოტანილ ანტიპედაგოგიურ სხოლასტიკურ პრინციპებს? არაფრით, პირიქით, ერთ დროს შეგნებულად ცნობილმა მასწავლებელმა წაქეზმ ქებათა-ქებაც კი შეასხა გასპარიანცს; განა ასეთი წაქეზები ცოტა არიან ჩვენ შორის? ბევრი, ძალიან ბევრი, ათობითაც შეიძლება მათი დათვლა!

რა არის უმთავრესად მიზეზი მასწავლებლის ასეთი დაქვეითებისა? ის, რომ მასწავლებელთა შორის არ არსებობს არავითარი კავშირი; თვითეული მათთაგანი თავისებურად მოქმედობს, მუშაობს; ჩვენში სამ-ოთხ მასწავლებელსაც ვერ ნახავთ, რომ ერთმანეთში ჰქონდეთ კავშირი, არ არის გაცვლა-გამოცვლა ამა თუ იმ სასკოლო საკითხის გამო.

დღეს ნოქრებიდან დაწყებული ქალაქის ქარხნის მუშამდის ყველამ შეიგნო კავშირების ძალა, ყველა დარგის მუშები აარსებენ პროფესიონალურ კავშირებს; მასწავლებლებს, კი დღემდის ვერ მოგვიხერხებია კავშირის დაარსება, უკეთ რომ ვსთქვათ, ვერ შეგვიგნია კავშირების მნიშვნელობა. ჩვენში რომ კავშირი არსებობდეს, მაშინ ძლიერი იქნებოდა საერთო ხმა მასწავლებლისა, მაშინ თითო-ოროლა მასწავლებელი თავის ჭკუაზე ველარ იმოქმედებდა უფროსების გულის მოსაგებად, სკოლისა მომავალი თაობის დასამახინჯებლად; მაშინ მასწავლებელი პასუხისმგებელი იქნებოდა მასწავლებელთა კავშირის, ბიუროს წინაშე თავისი არა შესაფერ საქციელის ჩადენის გამო.

მკვიდრ ნიადაგზე დამყარებული კავშირები ხელს შეუწყობს მასწავლებლის განვითარებას, სულიერ აღორძინებას, ერთი სიტყვით, მათ დიადი მნიშვნელობა ექნება სკოლის ცხოვრებაში. მაშ გვეყოფა ძილი, გამოვფხიზლდეთ, შევერთდეთ, შევკავშირდეთ სკოლისა და მომავალი თაობის საკეთილდღეოდ, თორემ ცხოვრებამ წინ გაგვასწრო, მომავალი თაობა სამარცხვინო სკამზე დაგვსვამს... საჭიროა ამ საკითხს გამოეხმაუროს მთელი მასწავლებელთა კორპორაცია, რომ ვ. ობჩელის ხმა არ დარჩეს ცალიერ ხმად... საჭიროა კავშირის დაარსების საქმეს თაოსნობა გაუწიოს ქალაქის გამოჩენილმა, შეგნებულმა მასწავლებლებმა. ვ. ობჩელი გვპირდება „განათლების“ შემდეგ ნომერში სანიმუშო სამაგალითო წესდების მოთავსებას. ვნახოთ როგორი იქნება ეს წესდება...

გრ. საქარიქედელი.

⁂

აი მე დავკრიფე მთელი კონა ცისფერი ყვავილებისა, მივწექი ბუჩქის ახლოს და დავიწყე გულზე.

აი მწვანე ბალახი, მწვანე ფოთლები...
ქვევით მდინარე, წმინდა, ლაჟვარდი...
იქ კიდე მთები, მაღალი მწვერვალები...

თვალები დავხუჭე...

რა მშვენიერ გუნებაზე ვარ, ღმერთო ჩემო, რა რიგ მიხარია!..

თითქოს ტკბილი ნექტარი მეწვეთებოდეს გულში...

თითქოს ანგელოზი შუბლზე ხელს მისვამდეს...

თითქოს...

ახ, ნეტა თუ ჰგონია იმ უბედურ ადამიანს ეხლა, რომ მე სადმე ხის ქვეშ ვაგდივარ პირქვე დამხობილი და სიბრაზისაგან ტუჩებს ვიკვნეტ, ცრემლებით ვასველებ მიწას!..

თუ ჰგონია!..

უკანასკნელი სიტყვა რომ წარმოსთქვა, აჰკრა ქოლგის ბოლო წითლად მოღაანე ყაყაჩოს და შეტრიალდა.

საწყალი ყაყაჩო! როგორ ნაღვლიანად ჩაჰკიდა თავი!

მე აქეთ გამოვსწიე.

თუ ეგონა იმ საწყალს, რომ მე აქეთ წყალში გადასავარდნათ წამოვედი!

— —

ყვავილები პირზე გადვიყარე; სულ დამიფარა სახე...

ეს რა არის?..

ალბათ ყვავილები დანამული თუ იყო, სახე რომ ამსველებია...

ეხლა მე მსურს თვალები გავახილო და ვუცქირო ჩალურჯებულ ცის უფსკრულს.

ლურჯი ცა!

გამიგონია ცა ლურჯი კი არა, ბნელი განუჭვრეტელი სივრცეაო.

ეს ტყუილია, არასოდეს არ დავიჯერებ მე ამას.

ცა ლურჯია, ლურჯი, როგორც ლილა როგორც აი ეს ყვავილი!

ლურჯი, გამჭვირვალე ლეჩაქები ერთი მეორეზე გადაკრული,—აი რისგან შესდგება ცა!.

და იმის იქით არსებობს ქვეყანა...

მე ვხედავ ეხლა მას. წარმტაცი, მომხიბლავია იგი ..

აი კრებული ანგელოზთა... მწყობრად დადიან ისინი, როგორც ცოცხალი მარმარილოს ქანდაკებანი...

აი იქ, მარტო რომ გაჩერებულა, ღვთის მშობელია... მშვიდობიანი მადლმოსილი...

კურთხეულ იყოს სახელი შენი მიმადლებულო მარიამ!..

მიწაზე სცხოვრობდა ერთ დროს ის...

მშვენიერ პალესტინის კალთებზე აღეხილა მას თვალი!

იორდანის წმინდა წყალში აღბეჭდილა აჩრდილი მისი სახისა...

მისი თმები ლიბანის მთიდან მონაბერ ნიავს შეურხევია!..

და ღმერთმა აირჩია იგი დედად, ვინაიდან არ დაბადებულა ქვეყანაზე უწმინდესი, იმაზე უფრო მშვენიერი!..

მეც იქ წავალ! იქ წავალ მეც! იქიდან მოვსულვარ და იქ წავალ ისევ!..

რა რიგ მიხარია, ღმერთო ჩემო! რა კარგ გუნებაზედა ვარ!

თითქოს ტკბილი ნექტარი მეწვეთებოდეს გულში...

თითქოს ანგელოზი შუბლზე ხელს მისვამდეს...

თითქოს ..

იმას კი, იმ უბედურს, თუ ჰგონია, რომ შხამ-ნაღველით ივსება ეხლა ჩემი გული!

თუ ჰგონია, რომ შეურაცყოფილი მისგან, ცხარე ცრემლებით ვასველებ მიწას!

თუ ჰგონა, იმ საწყალს, იმ უბედურს!..

კ. ჭიჭინაძე.

გაზაფხულო!

თვალ-წარმტაცო გაზაფხულო,
ყველას სიმი შენთვისა ჟღერს;
ათას-ფერად მოქარგულო,
ყველა ჰხარობს, ყველა გიმღერს·
მაგრამ. . მე კი ვერ გიმღერებ,
დროებითო... სადღეისო...
სად ხარ, სადა!..—მომავალო
—სამარადო.. სამერმისო?..
სასოებით აღჭურვილი,
შენ გიგალობ,—შორეულო;—
..და შენც, მაშინ გაიხარე,
ობლად მყოფო, ჩემო გულო.

ს. ერთაწმინდელი.

სამეურნეო თათბირი

ს. მარტყოფში

(თბილისის მაზრა)

17, 18 და 19 აპრილს ქართულ საზოგადოების თაოსნობით შესდგა ს. მარტყოფის და მის ახლო მდებარე სოფლების მეურნეთა და მცოდნე პირთა თათბირი.

16 აპრილს, ნაშუადღევს, თბილისიდან მოვიდნენ ქართულ სამ. საზ. მდივანი ბ. ვ. რცხილაძე, ამავე საზოგადოების ქართლის აგრონომი კარბელაშვილი, ინსტრუქტორი ალ. კახელაძე, კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების წარმომადგენელნი და სხვანი.

17 აპრილს თათბირი გახსნა ბ. რცხილაძემ; ხალხს უჩვენეს ბუნდოვანი სურათები და ესაუბრნენ ბბ: კარბელაშვილი და კახელაძე მეურნეობის სხვა და სხვა დარგის შესახებ. ბ. რცხილაძის წინადადებით დამსწრეთ აირჩიეს კომიტეტი, ხუთი პირისაგან შემდგარი, რომელიც ეცდება საზოგადოების დახმარებით მოაგვარ-მოაწყოს სოფლისათვის სასარგებლო საქმენი, მაგალითად, სარწყავი წყლის გამოყვანა, მერძევეების და სხ.

18 აპრილს გაიმართა თბილისიდან მოტანილ გუთნების და ფარცხების გამოცდა. გამოსცადეს აგრეთვე ქართული გუთანიც. ამან ძალიან დაანტერესა გლეხ-კაცობა, ყურადღებით სინჯავდნენ მიწის დასამუშავებელ იარაღებს და სამართლიანად აღნიშნავდნენ როგორც ნაკლს, ისე ღირსებასაც. ერთმა გლეხ-კაცმა იქვე იყიდა „აქსაის“ ფირმის გუთანი. ამ დღეს მუშაობამ გასტანა საღამოს 6 საათამდე.

19 აპრილს მარტყოფის თეატრის დარბაზში მოხდა დემონსტრაცია, სხვა და სხვა მანქანა-იარაღებისა: სეპარატორისა, სადღვებელისა და კარაქის საზელისა. აუშვეს სამი შუშხუნა სიტყვის წინააღმდეგ, რომელმაც დიდი კმაყოფილება და მხიარულება გამოიწვია ხალხში. შემდეგ რცხილაძემ სიტყვით მიჰმართა დამსწრეთ, აღნიშნა რა ხალხის მდგომარეობის სიმძიმე, ის მწვავე ყოფა, რომელშიაც იმყოფება ჩვენი სოფელი უცოდინარობის გამო, დასძინა, რომ უნდა თქვენვე გაიკვლიოთ გზა ბედნიერ ვარსკვლავისაკენ, შეიძინოთ ცოდნა-განვითარება, განიმსჭვალოთ მტკიცე იმედით და ამ იმედით და ცოდნით აღჭურვილნი მედგრად მოქმედებდეთ, მიილტვოდეთ წინ, წინააღმდეგ შემთხვევაში ცხოვრებას უკან ჩამორჩებით და თქვენს უკიდურესს მდგომარეობას ვერაფრით შესცვლით. უნდა ეცადნეთ გააღვიძოთ თქვენში თვითცნობიერება, ცოდნის შეძენის სურვილი; უნდა შეერთდეთ, შეკავშირდეთ და შეერთებულის ძალ-ღონით, საერთო შრომით შეებრძოლოთ დამაბრკოლებელ მიზეზებს, შეამზადოთ ახალი ნიადაგი, შექმნათ ახალი პირობები ახალის, ცოტა თუ ბევრად ადამიანურის, ცხოვრებისა.

დასასრულ უსურვა ხალხს კეთილდღეობა და ძალ-ღონე მომავალი ნაყოფიერი მუშაობისათვის. ბ. რცხილაძის გონივრულად მოსაზრებულმა გამჭრიახმა, და მარილიანმა სიტყვამ მიიპყრო დამსწრეთა სრული ყურადღება და დიდი შთაბეჭდილებაც მოახდინა ყველაზედ. სამწუხაროდ, ხალხი ძალიან ცოტა დაესწრო.

მადლობის ღირსნი არიან ამ საქმის მომწყობნი, ვინაიდან, დარწმუნებული ვართ, ეს თათბირი სრულიად უნაყოფოდ არ ჩაივლის და უფრო ხალისიანად აამოძრავებს, აამუშავებს სოფლის ცოცხალ ძალას.

ვუსურვებთ გამარჯვებას.

ტიტო კრიხელი.

მიაქციეთ ყურადღება ბოროტმოქმედებას!

(წერილი სოფ. ფარცხანაყანებიდან ქუთაისის მაზრა)

შარშანდელმა გვალვიანმა წელიწადმა, მოუსავლობის გამო, არა მარტო ჩვენი საზოგადოების მცხოვრებნი, არამედ მთელი ქუთაისის გუბერნიის მცხოვრები დაამშია. ასეთი სამწუხარო მოვლენა, როგორც საზოგადოებამ, ისე ადგილობრივმა პრესამ თავის დროზე აღნიშნა. მთავრობამ თავის მხრივ, ხელის მოწერა გამართა სოფლებში, თუ ვის რამდენი ფუთი სიმინდი ესაჭიროება შიმშილის ასაცდენათ, რომ მას შეეძინა თავის თანხიდან მათთვის სესხად. ჩვენ სოფელშიაც თითქმის ყველა გლეხებმა მოაწერეს ხელი და თხოულობდენ: ზოგი ოც, ზოგი ორმოც და ზოგი სამოც ფუთამდე მარცვალ სიმინდს. მთავრობამაც გამონახა სიმინდით მოვაჭრენი, მოურიგდა ფასში და ვაგონი ვაგონზე მოდიოდა რკინის გზის სადგურზე და იქიდან იგზავნებოდა სხვადასხვა მაზრებში და სოფლებში, ბევრ გლეხს სათესლე სიმინდი არ ჰქონდა ყანაში დასათესი და ამიტომ დიდი მოლოდინი ჰქონდა ნასესხ სიმინდის მიღების.

ეს რამდენიმე დღეა, რომ ჩვენ სადგურ მუხიანს მოაყენეს რამდენიმე ვაგონი სიმინდით დატვირთული. ჩვენც გვიხაროდა, დანიშნულ დღეზე 25 აპრილს ურმებით გავემგზავრეთ სადგურისკენ, იქ ადგილობრივი ბოქაულ-მამასახლისი მწერლებით განკურგულებას ახდენდენ, რომ სუყველას ხელის მოწერისამებრ მიერწყოთ სიმინდი. გახსნეს სამი ვაგონი და დაუწყეს გლეხებმა სინჯვა სიმინდის კაკალს; მაგრამ იმისთანა შენს მტერს, როგორიც ეს სიმინდი გამოდგა, ას მარცვალში ათი არ გამოერეოდა კარგი და ნარჩენი სულ დამპალი იყო. წარმოიდგინეთ ღორს დაუყარე, ერთი ორი მარცვალი გაკვნიტა, არ მოიწონა, აწია ცხვირი და სულ მოსცილდა იქაობას. ეჭვი არ არის, რომ ხალხი ასეთ სიმინდის მიღებაზე უარს განაცხადებდა; „თუ კი ღორმა არ სჭამა, ჩვენ მასზე უარესები ვყოფილვართო“ ეუბნებოდენ ბოქაულს გლეხები, რომელიც ძალას ატანდა ხალხს აეღოთ სიმინდი.

ერთმა ქვრივმა ბოქაულს ასე მიმართა: „მომეცით ცოტა მარცვალი, დავფქვამ, ამაღამ გამოვაცხობ და მოგართმევთ და თუ თქვენ ასეთ აშმორებულ გამომცხვარს მიირთმევთ, მაშინ ჩვენც გიახლებითო“. ბოქაულმა მას, როგორც ქალს, ვერაფერი უთხრა, მაგრამ მამაკაცებში რომ მათრახი გაახურა, ძალაუნებურად დაატვირთვინა ბევრი ურმები. ესენი ძალიან უარზე იყვნენ. მათ დარაჯებმა ტომრები წაართვეს და ვაგონიდან ძალად ჩაუყარეს სიმინდი. გლეხებმაც მიუტოვეს ტომრებიც და სიმინდიც. ზოგიერთმა მათგანმა მოაგროვა ორორი-შაური და ქუთაისის გუბერნატორს აცნობა დეპეშით, რომ მათ არ შეუძლიანთ ასეთი სიმინდის მიღება. სთხოვდენ ექიმს გაესინჯა, ივარგებდა თუ არა საჭმელად.

მეორე დღეს გასინჯეს ამ სიმინდის ნამცხვარი და დაფქვილიც, ასდის საშინელი დამპალი შმორის სული, ნამცხვრის ჭამაც ხომ სრულებით არ შეიძლება. მათ ვინც ძალუნებურად წაიღეს სახლში ამბობენ: სახლში გაჩერება ყოვლად შეუძლებელიაო, ისეთი ცუდი სული სდისო, მარტო აბრეშუმის ჭია აღარ გაჩერდა ცახზეო, არ იციან სად გაექცნენ მის სულსო. გლეხები ამბობენ: ვერც ჭამა გაგვიბედნია, არც სჭამს შინაური ცხოველი, ვერც გადაგვიყრია და ელიან გუბერნატორის განკარგულებას.

ასეთი სიმინდების საწყობი ერთიანად უნდა დაიწვას, რომ ბაზარში არ გავიდეს გასასყიდად. ჩვენ პოლიციელები კი ძალას გვატანენ უსათუოდ სჭამეთ დამპალი სიმინდიო. არა. გინდ შიმშილს მოუკვლივარ და გინდ დამპალ სიმინდს!

ამ სიმინდის მეტი წილი მოდის ფოთიდან და მის ახლო მახლო მხარეებიდან. იქ ეს ორი-სამი წელიწადია, რაც შეჩერებული იყო რუსეთისკენ სიმინდების გაგზავნა, რადგან აქ ჩვენში სიმინდების ფასმა ერთი ორად აიწია და მეზობელ მხარედან კი იგზავნებოდა შორს რუსეთისაკენ გასასყიდად. შარშან ცხრა და ათ შაურად იყიდებოდა ფუთი სიმინდი. წელს კიდევ უფრო მეტი იყო საჭირო და იქაურ ვაჭრებსაც დაუდგათ ამინდი. ორი და სამი წლის შეჩერებულ-დაშმორებული სიმინდი კარგ სიმინდთან ერთად აურიეს და გამოგზავნეს ჩვენი მხრისკენ ჩვენს საზოგადოებასაც ასეთი აშმორებული სიმინდი შეხვდა წილათ და ჩვენი პოლიციელების წყალობით უნდა უფრო დავზარალდეთ და დავიმშეთ.

შ. ხიდისკარელი.

— —

ამ სიმინდის ფქვილის ნიმუში ჩვენ მივიღეთ. მართლაც, საშინელებაა, სასურველია, ადგილობრივმა გაზეთებმა და მოღვაწეებმა მიაქციონ ამ ბოროტმოქმედებას ჯეროვანი ყურადღება და დაწვრილებით გამოკვლევის შემდეგ მოიყვანონ თავიანთ ფურცლებზე გამოკვლეული და მიაქციონ ყურადღება ვისაც ჯერ არს.

ნუ თუ მთავრობა ყველა ამას ვერა ხედავს?!

რედ.

ქართული საწერი მანქანა

ლონდონიდან ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი; „თანამედროვე კულტურის განვითარებაში დიდი ადგილი უჭირავს ორთქლის და ელექტრონის შემოღებას. თითქმის ასეთივე მნიშვნელობა აქვს მთელ კაცობრიობისათვის საწერ მანქანის გამოგონებას. დღეს ყველა კულტურულ ერს მოეპოება თავის ენაზე საწერი მანქანა, მხოლოდ ჩვენ, ქართველები, შევადგენდით აქამდის გამონაკლისს.

1909 წელში წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ პირველად გადადგა ნაბიჯი და დაიკვეთა ათი ცალი ქართული საწერი მანქანა, მაგრამ ასოები ძლიერ ცუდად იყო ამოჭრილი. ამას გარდა ძვირიც დაჯდა, სახელდობრ 275—300 მანათი თითო. ამ ორმა გარემოებამ ძლიერ შეუშალა ხელი მანქანის გავრცელებას.

რომ ეს ნაკლი შევსებულიყო და ჩვენი ქვეყანაც საერთო კულტურის ფერხულში ჩარეოდა, ჩვენმა ფირმამ უკვე შარშან კავშირი დაიჭირა საწერ მანქანების საუკეთესო ქარხანასთან და დაუკვეთა ქართული საწერი მანქანა.

აქვე ჩვენი საზოგადოების ყურადღება უნდა მივაქციოთ შემდეგ გარემოებას: საწერ მანქანის ასოები იმავე ფორმის არ არიან, როგორც საბეჭდავი ასოები. ვინაიდან საბეჭდავი ასოები სხვადასხვა ზომისანი არიან და საწერ მანქანაზე კი საჭიროა, **რომ ყველა ასოები ერთი ზომისანი იყვნენ**, ამის გამო მიუჩვეველი თვალისათვის პირველად შეიძლება არაჩვეულებრივი იყოს, მაგრამ თანდათან მიეჩვევიან.

ამავე მანქანაზე მოთავსებული არიან რუსული ასოები, **ასე რომ რუსულადაც შეიძლება წერა.** ამ გარემოებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ დაწესებულებათათვის, სადაც რუსულ ენაზე მიწერ-მოწერა, ნებით თუ უნებლიეთ სავალდებულო არის.

რასაკვირველია, ყოველივე ახალი მანქანის გაუმჯობესება შეიძლება და თუ ჩვენი საზოგადოება ამ საქმეს თანაგრძნობით შეხვდა, მისი თანდათან გაუმჯობესება ადვილი იქნება.

ორივე ენაზე ერთად მანქანას ჩავაბარებთ ჩვენში ყველა ადგილებში **ას ოთხმოც მანეთად (180 მ.). თითო გამოწერილ მანქანას თან გამოვაყოლებთ ხმარების ქართულ ენაზე დაწერილ დარიგებას.**

ამ მანქანის გასავრცელებლად ჩვენში ჩვენი ფირმის წარმომადგენლად არის ჟურნალ-გაზეთების სააგენტო „იმერეთის“ გამგე ისიდორე კვიცარიძე, რომლის კანტორაშიაც ქუთაისში მსურველთ შეუძლიან ნახონ ჩვენი სანიმუშო მანქანა.

დაკვეთა შეიძლება პირდაპირ ჩვენგან შემდეგი მისამართით: D. GHAMBASHIDZE & Cº· 61, Mark Lane. London, E. C. ან ჩვენი ფირმის წარმომადგენელთან შემდეგი მისამართით: ჟურნალ-გაზეთების სააგენტო „იმერეთი“ ბ. ისიდორე კვიცარიძე, ქუთაისი.

დაკვეთისთანავე მყიდველმა უნდა გადაიხადოს 40 მ., რომელიც უნდა გაიგზავნოს ბათუმის საურთიერთო ნდობის ბანკში ქ. ბათუმში, დანარჩენი ას ორმოცი მანეთი(140 მ.) კი გადახდება ჩაბარებისას.

ამასთანავე გიგზავნით ქართულ რუსული ნაწერის ნიმუშს და იმედი გვაქვს ჯეროვანის თანაგრძნობით შეხვდებით ჩვენს წინადადებას.

დავით ღამბაშიძე და ამხ.

— —

ჩვენის მხრით, დ-დ სიხარულს ვაცხადებთ, რომ შეძლება გვეძლევა ვისარგებლოთ ქართულ საწერ მანქანით. უნდა აღვიაროთ, რომ მანქანა არ არის ძვირი. ასოებიც მომხსოა და გარკვეული, როგორცა სჩანს გამოგზავნილ ნიმუშიდან. დიდი საქმეა ისიც, რომ იმავე მანქანით შეიძლება ორ ენაზე წერა. ყველა ეს მოწმობს, რომ მანქანა მრავლად გავრცელდება ჩვენში. ჩვენ მივაქცევთ ფირმის ყურადღებას, რომ წერა-კითხვის საზოგადოებაზე ადრე ჩვენმა ცნობილმა მოღვაწემ და პუბლიცისტმა ბ. ნიკო ნიკოლაძემ შეუკვეთა ქართული საწერი მანქანა. ჩვენ გვინახავს ამ მანქანით დაწერილი ხსენებულ მწერლის თხზულება „იაპონია“, რომელიც გამოსცა 10—12 წლის წინად იოს. მერკვილაძემ. ეს ასოები, თუმცა წვრილი იყო ახლანდელზე, მაგრამ მეტად ლაზათიან შთაბეჭდილებას სტოვებდა. გვახსოვს მაშინ ლაპარაკობდენ ეს მანქანა მეტად ძვირად დაუჯდა ნიკო ნიკოლაძესო. სასურველია, ბ. დავით ღამბაშიძე გაეცნოს ამ მანქანით დაწერილ ასოებს. იქნებ გამოიყენოს.

დიდი მადლობის ღირსია ბ. დავით ღამბაშიძე, რომ ასე ზრუნავს ქართულ კულტურისათვის. ჩვენ კარგადა გვაქვს წარმოდგენილი, რომ აქ მას მარტო ვაჭრის ანგარიში კი არა აქვს მხედველობაში, არამედ სამშობლო ქვეყნის სარგებლობაც. ქართველ საზოგადოების ყურადღება მან ბევრ სასარგებლო საქმეს მიაქცია და ამ მხრით პიონერობა გამოიჩინა. საუბედუროდ, არა გვგონია ჯერ-ჯერობით ბევრი სარგებლობა ენახოს ჩვენგან. იქნებ ამ საწერმა მანქანამ მაინც გული არ გაუტეხოს და შემდეგისათვის წაახალისოს.

რედ.

წერილი სოფ. მარელისიდან

ბ. რედაქტორო! ნება მიბოძეთ გაზეთ „თემის“ შემწეობით ვაცნობო პატივცემულ საზოგადოებას, რომ ჩვენ სოფ. მარელისში მცხოვრებლებმა (შორაპნის მაზრა). დავადგინეთ აღარ გადავიხადოთ „ამაღლება“, ამიტომ ვთხოვთ ნათესავებს და ნაცნობებს, ნუ შეგვწუხდებიან და ნუ მობძანდებიან ამ დღეს სტუმრათ, რათა ამით მასპინძელი უხერხულ მდგომარეობაში არ ჩააყენონ, ვინაიდან იგი, თანახმად დადგენილებისა დაჯარიმებულ იქნება.

მანიძე.

საქართველოს ამბები

სოფ. ტოლა (რაჭის მაზრა). ზოგიერთ ძველ მორწმუნეთა აზრით, სასუფეველსა და ჯოჯოხეთს შუა ბეწვის ხიდი უნდა იყოს გადებული.—ყოველმა ამიერ სოფლიდამ გასულმა, საიქიოს მიმავალმა ადამიანმა ეს ხიდი უნდა გაიაროს როკვით!,. თუ არ გადავარდა და გავიდა,—იგი, რაღა თქმა უნდა, მადლით მოსილია და შევა სასუფეველსა ღვთისასა, და იქნება ზეციურ უკვდავ ცხოვრების სამარადისო ნეტარებაში. ხოლო თუ ვერ გავიდა და გადავარდა ამ საარაკო ხიდიდამ, ის, რასაკვირველია, ცოდვით მოსილი და დამძიმებულია;—ხვედრია ეშმაკისა და წარწყმედისა. რომელი ადამიანი არის თვისის ზნეობითა და მოქმედებით შვილი ღვთისა, და რომელი ეშმაკისა: აი, ამ ხიდზე გამოჩნდებაო, ამბობენ ისინი და სხვა... რამდენად ახლოა ჭეშმარიტებასთან ასეთი შეხედულება, ამის შესახებ დასაბუთებით ჩვენ, რასაკვირველია, ვერას ვიტყვით. ხოლო ასეთი საბედისწერო ხიდი რომ არის გადებული ბუნებისაგან, ზამთარსა და ზაფხულს შუა, ეს კი ნამდვილი ჭეშმარიტებაა. და ეს საბედისწერო ხიდი გახლავსთ სწორედ ის დრო, ის თვე, რომელსაც ეწოდება **მარტი.**—ზაფხულში მიმავალმა ადამიანმაც ხომ ეს ხიდი უნდა გაიაროს! და აქ სწყდება კიდეც მრავალ ადამიანთა სიცოცხლის სვე-ბედი;—ხანგრძლივის მძაფრის, სულიერ და ხორციელ ჯანმრთელობის დამასუსტებელ ზამთრისაგან დაქანცული, ღონე-მიხდილი ადამიანი მოაღწევს ამ ხიდზე თუ არა, ველარ უძლებს, ველარ იტანს ათასნაირს სიცოცხლის შემამოკლებელს მოარულ სახადს, რომელიც გამოწვეულია მარტის ცუდი ამინდებისაგან. მრავალი ადამიანი სულის შემხუთველ ზამთრიდამ, სულის აღმაფრთოვანებელ ზაფხულში მიმავალი ამ საბედისწერო ხიდზე, შუაგულამდისაც ვერ აღწევს.

ოთხფეხ და ორფეხ ცხოველების შესახებ ხომ სულ აღარა ითქმის რა, ამათი ნამდვილი ხოლერაა მარტი...

წელს ზამთარი, ღვთის მადლით, ძალიან კარგი იყო, სასაყვედურო არა გვაქვრა მასთან. ზამთრის თვეები: ნოემბერი, დეკემბერი, იანვარი და თებერვალი, სწორედ ისეთი იყო, რომ უკეთესი არცკი გვიხილავს წინად. ხოლო მარტის შესახებ კი ამასვე ვერ მოგახსენებთ. დადგა ეს თვე თუ არა, თქვენს მტერს გაუთენდეს ისეთი დღე, როგორიც ჩვენ ამან გაგვითენა. ჩაგვკეტა სახლში, გაგვიყინა სისხლი ძარღვებში. დღე-ღამეში აღარ ირჩეოდა, ბნელით მოცული იყო სამყარო. თითქმის მთელი მარტის განმავლობაში არ დაგვინახავს მოღიმარი, შუქ-მფენელი სახე დიდებული მნათობისა.

გავლილს წელში ჩვენს მხარეში ძალიან მცირე მოსავალი იყო ჭირნახულისა; პური, სიმინდი და ღვინო იმოდენაც კი ვერ მოსცა წარსულმა წელმა ჩვენს ხალხს, რომ ნახევარი წელიწადი მაინც უზრუნველ ეყო ლუკმა-პურის მხრით. მოგეხსენებათ რაჭა—ლეჩხუმში დიდი სივიწროვეა ადგილ ძამულისა; არა თუ უმეტეს ნაწილს ზემოხსენებულ მაზრებში მცხოვრებ გლეხებისას, თვით თავად-აზნაურობასაც, რომლებიც მემამულეებათ ითვლებიან, თუ მცირე მოსავლიანი წელიწადი დაუდგათ, არ მოსდით იმოდენა ჭირნახული, რომ წლის განმავლობაში საზრდოობის მხრით უზრუნველნი იყვნენ.

ამიტომ გავლილმა წელმა ძალიან დაალონა ჩვენი ხალხი... აქაური გლეხკაცობა გამოცლილი და გამოფოლადებულია ყოველგვარს გასაჭირში, და ამის გამო, რა გაჭირვებაც და გულის დამამძიმებელი ხვედრი უნდა მიადგეს კარს, ადვილად ქედს ვერ მოახრევინებს. მხოლოდ სულ სხვა სურათს წარმოადგენს ჩვენი მხნე და გულგაუტეხელი გლეხობა როდესაც თავის ოჯახის სიმშილისაგან აწიოკებას მოელის. რაჭა-ლეჩხუმის მკვიდრთათვის სურსათის შემოკლება და დაშმევის წვევა მით უფრო თავზარდასაცემი უბედურება, რომ ეს ორი კუთხე სრულებით მოწყვეტილია უგზოობის გამო ჩვენი ქვეყნის სავაჭრო ადგილებს და ამის გამო სიმშილის თავიდან აცდენა ძალიან უძნელდება ჩვენს ხალხს. კარგია კიდევ მოაშველეს ხალხს ცოტაოდენი სურსათი. სოფ. ჭრებალოში უკვე მოიტანეს ბლომად ქუვიშის საზოგადოებაში მცხოვრებ სარჩოშემოკლებულ ხალხში დასარიგებლად პური და სიმინდი. სურსათს ამნაირის ანგარიშით ურიგებენ მთხოვნელ ხალხს: თითო ადამიანს აძლევენ თვეში ერთს კოდს პურს ანუ სიმინდს (კოდი ოთხი ბათმანია) მომავალ ენკენისთვის გასვლამდის, ე. ი. სანამ სიმინდი შემოვა ახალი. კოდი დაფასებულია თერთმეტ აბაზად. რამდენიც დასჭირდება მეკომურს და მიიღებს მისი ფასი ზემოდ აღნიშნულ ნიხრით, უფლება ეძლევა, როდესაც გარემოება ხელს მოუწყობს, სამი წლის განმავლობაში, უსარგებლოდ დაუბრუნოს თავნი მთავრობას.

სოფ. ტოლა, როგორც მოგეხსენებათ რაჭის მაზრის განაპირა კუთხეში მდებარეობს, სწორედ იმ ადგილას, სადაც ჩრდილოეთის მხრით თავდება რაჭის მაზრა და იწყება ლეჩხუმი. ჩვენა გვგონია, ამის ბრალი უნდა იყოს ის, რომ ამ სოფლის მკვიდრთა ყოფა-მდგომარეობის ყურისგდებისა და გაუმჯობესებისათვის თავს არ იტკივებენ, როგორც ლეჩხუმის მაზრის სვე-ბედის გამგებელნი, რომელთა ოფიციალურ მოვალეობას არ შეადგენს ტოლელებზე ზრუნვა, ისე რაჭის მაზრის საქმეების მესვეურნი და ხელისუფალნი. ვინ მოსთვლის რამდენი ჭირი დასტეხია თავს ტოლელებს! მაგრამ ყველაზე უფრო აწუხებს და უხუთავს სულს ამ ხალხს უგზოობა, არსად ამ სოფელში არ მოიპოვება ისეთი გზა, რომ იგი გზად ჩაითვლებოდეს და მასზე უშიშრად გავლა შეიძლებოდეს. ზოგან სულ არ არის გზა, რომ ქვეითმა კაცმა მაინც როგორმე გაიაროს. ზამთარში და ცუდს ამინდებში ხომ სულ არ მოიპოვება გასავლელი გზა; ხარი და კაცი ყელამდის იფლება ტალახსა და მეწყერში; ერთი სიტყვით აღარ არის ილაჯი ამ გაჭირვების გამო.—ნუ თუ ადგილობრივი მთავრობა ამ წელშიაც არ მოგვაქცევს ამ მხრით ყურადღებას?!

ქაიხოსრო გელოვანი.

— —

გუდაუთი. აუტანელ პირობებში იმყოფებიან გუდაუთის ნოქრები, როგორც ყოველგან ისე აქაც, 1905 წელს მოპოვებული თავისუფლების ნამცეცი უკანვე წაიღეს პატრონებმა.

აქ რამდენიმე პირებმა, რომელთაც უფრო შესტკიოდათ გული ნოქრების

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაჭირებულ მდგომარეობ-ს გამო, მოახერხეს მთავრობის ყურადღება მიექციათ. ბოქაულმა მოიწვია ნოქრები და პატრონები, რომ აერჩიათ თავიანთ შორის ორთავე მხრიდან თანასწორა რიცხვი წარმომადგენლები. ამ შერეულ კომისიას, უნდა შეემუშავებია სავაჭროების გაღება-დაკეტვის წესრიგი. მოვაჭრეებმა აირჩიეს თავის მხრით 6 კაცი. მათ შორის იასონ ალექსის-ძე გიგიბერია, სასტიკი ფილიპე კაზანჯიანი და სხვები.

ნოქრებმა კარგა ხნის თათბირის შემდეგ აარჩიეს შემდეგი პირები: ნოე კინტირიას-ძე ქანტურაია, დათიკო ზენაიშვილი, ამაზასპ ეგიასარიანი, აპეტიანი, კოვალენკო და მინასიანი.

როგორც პოლიციელს შეშვენის, ძლიერ დააგვიანა შერეული კომისიის კრების მოწვევა ჩვენმა ბაზრის უფროსმა, ანუ ბოქაულის თანაშემწემ.

როგორც იქნა გველირსა და შერეული კომისიის სხდომა მოხდა.

ძნელი წარმოსადგენია, რა რიგად სჭექდა და გრგვინავდა დაბის სამართველო ხსენებულ კომისიის მსჯელობის დროს.

ერთის მხრით ვაჭრების წარმომადგენლები და მათი ინტერესების ერთგული დამცველნი და მეორეს მხრით ნოქრების წარმომადგენლნი და თავგამოდებით მათი ინტერესების მომხრენი. ნოქრების წარმომადგენლებს ძლიერ გაუჭირა საქმე ვაჭრების მხრით ფილიპე კაზანჯიანმა და ჩვენდა განსაცვიფრებლად იასონ ალექსის-ძე გიგიბერიამაც, რომელმაც თავი ისახელა „ცნობილ პროტესტებზე“ ორჯერ ხელისმოწერით. ნოქრები იდგენ იმ აზრზე, რომ კვირა-უქმე დღეს მთელი დღე დაკეტილი ყოფილიყო სავაჭროები, მაგრამ, ზემოხსენებული ვაჭრები არაფერს არ ერიდებოდენ ოღონდ საქმე მათდა სასარგებლოდ გადაწყვეტილიყო, იმითაც აშინებდენ ნოქართა წარმომადგენლებს, რომ დღეს თუ არა ხვალ მაინც თქვენც პატრონები იქნებით და თუ ჩვენს წინააღმდეგ გამოილაშქრეთ, ეს თქვენს ზარალს მოასწავებსო, მაგრამ ნოქართა წარმომადგენლებმა ეს არ მიიღეს მხედველობაში, მოითხოვეს დაჩაგრულთათვის შეღავათი, მსგავსად სხვა ქალაქებისა, შეთანხმებული საკანონმდებლო დაწესებულებათაგან დამტკიცებულ კანონთან.

კვირა დღეებზე მაინც გადაწყდა დ. გუდაუთაში მაღაზიების გაღება 11 საათიდან 2 საათამდის.

ისე დღეებზე—7 საათიდან 7 საათამდის. საინტერესო აქ ის იყო, რომ „პროლეტარები“ ვისაც აკერია პირზე, ისინი მოწინააღმდეგე ბანაკში ვაჭრებთან ერთად აღმოჩნდენ.

კიეველი.

ქ. ტუაფსე. (შავი ზღვის გუბერნია.) პარასკევს 18 აპრილს, ქართულ სცენის მოყვარეთა მიერ ტუაფსის სახალხო სახლში, ქარიშხლისაგან დაზარალებულთა და ქუთაისის გუბერნიაში დამშეულთა სასარგებლოდ, ქართულ ენაზე წარმოდგენილ იქმნა „მეზობლები“ 4 მოქმედ. დრამა ტრ. რამიშვილისა. ეს პირველი წარმოდგენაა აქ ქართულ ენაზე. საღამომ მშვენივრად ჩაიარა და დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე საზოგადოებაზე, ყველა მოთამაშე პირებმა მოსალოდნელზე უკეთესად აასრულეს თავიანთი როლი. კარგი იყვნენ თავიანთ როლში ქ-ნ მ. გაბუნია, ბოხუა, მოკროსია, თარხნაძე და სხ. კარგად შეასრულა ექიმის როლი ბ. ი. მგელაძემ. ხალხი ბლომად დაესწრო, უფრო მუშები იყვნენ. სცენის მოყვარეთ სექცია სიხარულით ეგებება ხალხის სურვილს და განზრახვა აქვს ორ სამჯერ გამართოს თვეში ქართულ ენაზე წარმოდგენები. ამ ფრიად სიმპატიური და კეთილი საქმის თაოსნობის გამო ვუსურვებთ სექციას თავისი მოვალეობის პირ-ნათლად ასრულებას. მადლობის ღირსია ბ. ილიკო მგელაძე, რომელმაც დაუთმო სახლი სარეპეტიციოდ.

არა სასურველ მდგომარეობაში იმყოფება აქაური სამკითხველო; საზოგადო კრებამ გამოსცვალა უწინდელი გამგეობა და დანიშნა ახალი. პირველნი ემუქრებიან უკანასკნელს სამკითხველოდან გამოგდებას და სამკითხველოს დაკეტვასაც ნუ თუ არ სცხვენიათ, რომ კერძო ინტერესს მაღლა აყენებენ საზოგადოზე?!..

ა. მეგრი.

წესი (რაჭა.) ეს სოფელი შესანიშნავია რაჭაში მითი, რომ აქ ოდესმე უცხოვრია რაჭის ამაყ როსტომ ერისთავს. როსტომისგანვე არის აშენებული ერთი მშვენიერი ეკლესია, ბარაკონად წოდებული. ამ ეკლესიაში ინახება ერთი საუცხოო ხელოვნებით ნაკეთები ხის ჯვარი. ეს საუცხოო ეკლესია უპატრონოდ იყო მიტოვებული, ჟამთა ვითარებას მისთვის თავის დაღი დაესო, მრავალ ადგილას უგვარი დამპალიყო, და წვიმის წვეთი საშინლად ახდენდა ძველ ქართულ ხელოვნებას. ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია კეთილ მოწყალე მიხეილ სხირტლაძემ, რომელმაც თავს იდვა ეკლესიის შეკეთება. მ. მიხეილმა სიტყვა საქმეთ აქცია შეხურა ეკლესია მოკალულ თუნუქით. ეკლესიის შესახურავ ხარჯში მონაწილეობა მიიღო მთელი რაჭის სამღვდელოებამ, მხოლოდ თაოსნობა კი მ. სხირტლაძეს ეკუთვნის. გადარჩა განადგურებას ეს თვალსაჩინო ნაშთი მთელ რაჭის მაზრაში.

მდ. რიონის გაღმა მხარეს გამოდის კლდიდან გოგირდის წყალი, რომელი წყალიც ეკუთვნის ძმ. ჭიჭინაძეებს და გ. ბარსონიძეს. ეს აბანო შესანიშნავია თავის სამკურნალო თვისებით, ხშირად მიუყვანიათ ამ აბანოზე ქარებით დახუთული ორჯერ უბანავნია, ავათმყოფი ამდგარა და ფეხით სიარული დაუწყია. ჩვენ შეგვიძლია ბევრი მაგალითები დავასახელოთ ამ სამკურნალო აბანოში მორჩენილ ავათმყოფებისა: ეს წყალი არჩენს ქარიანებს, არჩენს თავის ტკივილს, არჩენს ტანზე დაყრილს მუწუკებს და ქავილს. ეს აბანო თუმცა გაუკეთებელია, მიუხედავად ამისა ხალხი ბლომად ეტანება, წყალს ქვაბში ათბობენ და ისხამენ ტანზე. წელს ამ აბანოს გაკეთება განიძრახეს ძმ. ჭიჭინაძეებმა და ბარსონიძემ, მაგრამ როგორც მოგეხსენებათ ქართულმა ქიშპმა აქაც იჩინა თავი. გამოჩნდენ ზოგიერთები, რომელთაც მხოლოდ წყალი თუ დაულევიათ იმ აბანოში, თორემ სხვა არავითარი ნაწილი აქ არ ჰქონიათ, დაიწყეს დავა. ასე იქნება თუ ისე სიმართლე მაინც თავისას გაიტანს, წელს მზად იქნება აბანო გაკეთებული თავის დასადგომი სახლებით, განზრახვა აქვთ აბანოს პატრონებს იქონიონ მუდამ უწერასა და ურავის მჟავე წყალი. აბანოს მიწის მოჭრის დროს წყალში ბლომად აღმოჩნდა რაღაცა მადანი, რომელიც, როგორც ვერცხლი, ისე ხალისით ბრწყინავს.

ვანო ჭიჭინაძე.

გაჭირებული მდგომარეობა

სოფ. ხაშურში (სადგური მიხაილოვო) სოლო აბიაშვილის სახლში სცხოვრობს ქვრივი დარია გომართლისა, ივანე გუნცაძის ასული თავის ერთად ერთ შვილით ვლადიმერ ერეკლეს ძე გომართლით. ამ ახალგაზრდამ მშვენივრად გაათავა ამ რამდენიმე წლის წინად ქუთაისის სასულიერო სემინარია და უნდა წასულიყო ხარკოვის უნივერსიტეტში, სადაც დანიშნული ჰქონდა კიდეც სტიპენდია.

საუბედუროდ ყმაწვილს დაემართა ნერვების ნამეტანი სისუსტე; ასე, რომ ავადმყოფობის გამო ვერ შესძლო უმაღლეს სწავლის შეძენა. ამგვარად ახლაც ნერვებ აშლილი დაიარება, თუმცა კი შესაძლებელია, რომ სრულებით განიკურნოს სენისაგან.

ამისათვის ექიმები ურჩევენ მოსკოვში წამლობას, მაგრამ უბედურ დედას საშუალება სრულებით არ მოეძებნება ამისათვის.

მუდამდღე დაინახავს გამვლელ გამომვლელი მას თვალცრემლიანს, თავის ერთად-ერთ ავადმყოფ შვილის მაცქერალს.

ჩვენ განვიზრახეთ ყველა ეს გამოგვეცხადებინა გაზეთის ფურცლებზე. იქნებ აღმოჩნდენ ჩვენს საზოგადოებაში ისეთი გულ-შემატკივარნი, რომელნიც ნივთიერად დაეხმარებიან ამ უმწეოდ დარჩენილ ოჯახს და ხელს შეუწყობენ ახალგაზრდა მისი წევრის განკურნებას. ამ გზით შესაძლებელი გახდება ჩვენს საზოგადოებას მიემატოს ერთი სასარგებლო და თვალსაჩინო მუშაკი, რადგანაც ვლადიმერ გომართლის სიყრმის ამხანაგნი ჰხატავენ მას როგორც ნიჭიერს და მაღალზნეობრივს ახალგაზრდას.

ვისაც სურვილი აქვს დაეხმაროს, მან უნდა მიჰმართოს ან პირდაპირ ხაშურში დარია გომართლისას, ან „თემის“ რედაქციას.

დიდს სიკეთეს იზამენ სხვა გაზეთებიც თუ ამ წერილს გადიღებენ თავიანთ ფურცლებზე და თავის მხრით შეუგროვებენ ფულს გაჭირებულს ოჯახს..

გრ. ქართლელი.

დამშეულთა დახმარების საქმე რაჭაში

(წერილი რედაქციის მიმართ)

ბ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ, პასუხად ჯაფარ რაჭველის წერილისა, მოთავსებულის თქვენი პატივცემულ გაზეთში 14 აპრილის № 171-ში, რადგანაც იმ წერილის შინაარსი არის სიმართლეს მოკლებული, მისცეთ პირველ ნომერში ადგილი შემდეგს ჩემს წერილს;

ბ. ჯაფარ-რაჭველი ამბობს თავის წერილში, რომ რაჭის მაზრაში სიმშილიაო, მე კი ვამტკიცებ როგორც ადგილობრივი მომრიგებელი შუამავალი, რომ რაჭის მაზრაში, რომელსაც მე კარგად ვიცნობ, ისეთი სიმშილობა არ არის რამდენადაც აზვიადებენ. 1913 წელს იყო, მართლა, ნაკლები მოსავალი, მაგრამ ეს რაჭის მაზრისათვის არ არის გასაკვირალი, რადგანაც აქ მიწაც პატარაა და არ-მოსავლიანიც. საკმაო მოსავალი აქ თითქო იშვიათია*). ამას მიჩვეული რაჭველი გლეხობა წინდაწინ ემზადება, გადის სამუშაოდ სხვა ქვეყნებში და უგზავნის თავის ოჯახს ფულს, რომლითაც ყიდულობენ სამეზობლო მაზრებში და თერგის ოლქში საკმაო სიმინდს და მოაქვთ სახლში, თუ უგზოობამ, განსაკუთრებით ზამთარში, არ შეუშალათ ხელი. წრეულს თანახმად უმაღლეს მთავრობის განკარგულებისა, უნდა გამოეგზავნა მაზრის კომიტეტს, რომელსაც შეადგენდა: მაზრის უფროსი, მე, გადასახადთა ინსპექტორი და სახაზინო მამულების გამგე, ისეთი პირნი, რომელთაც მართლაც სჭირიათ სესხი და მოელის სიმშილი. რადგან მთელს რაჭის მაზრაში ამ ოთხ კაცს ერთი თვის განმავლობაში, როგორც იყო საჭირო, არ შეეძლო ეს, მით უმეტეს, რომ დიდი თოვლი იყო და გზებიც შეიკრა არა თუ სოფლებში, არამედ საფოსტო გზაც კი ამიტომ მათ, მოიწვიეს წევრათ ტყეთა ზედამხედველი, მაზრის უფროსის თანაშემწე და ონის და აბიროლაურის ბოქაულები, ეს უკანასკნელნი ორნი დავიწყებია ბ. ჯაფარ რაჭველს თავის წერილში ამ ნაირად შედგა რვა კაცისაგან კომიტეტი და მე შემხვდა გამოსაკვლევად ხვანჭკარის, ბუგეულის, სადმელის და აბარის საზოგადოებანი. ამ საზოგადოებებში, როგორც ყველგან მაზრაში სანამდის მე წავიდოდე, მაზრის უფროსის განკარგულებით იყო მოთხოვილი სია ისეთ პირთა, რომელთაც მოელოდათ სიმშილი და სჭირდებოდათ სესხი. ამ საზოგადოებებმა, როგორც სხვებმა, თავიანთ მამასახლისებს და ადგილობრივ ბოქაულებს უარი უთხრეს, სიმშილით რომ რამე უჭირდეს, ჩვენ ისეთი არავინ გვყავსო და დახმარება სესხით არ გვინდაო, რაზედაც ოფიციალური მოხსენებები არსებობს. როდესაც მე წავედი ამ საზოგადოებებში იანვრის პირველ რიცხვებში, თითო საზოგადოებაში სამ-სამი დღე ვიყავი, თანაც ოჯახურ სიებს ვასწორებდი და, რაკი თოვლი იყო, დიდი გზაც შეკრული, რამდენად შეიძლებოდა ხალხს თავს ვუყრიდი და ვუცხადებდი განკარგულებას, რომ დამშეულს მიეცემა სესხათ სიმინდი, მხოლოდ სიმინდი და არა ფული, და მიჩვენეთ ასეთი პირნი მეთქი, მაგრამ გამოიცხადეს არ გვინდაო და ამაზედ შემდგარი საქმე ყველა ამორჩეულ პირებისა და თანამდებობის პირების ხელმოწერილი და ბეჭედ დასმული არის საქმეში მიკერებული. შემდეგ ამისი მე კიდევ ამოვიარე საზოგადოებები, მაგრამ არავის გამოუცხადებია ჩემთვის სიმშილი მაწუხებს და შემეწიეთო. მარტის თვის დამლევს მე ვარიგებდი სიმინდს პატარა ონის, ცხის და ნამანევის საზოგადოებაში, ესე იგი ჭრებალოში ვიბარებდი გლეხებს, რომლის სახელზედ იყო მოსული სიმინდი გამოჩნდენ ისეთი გლეხნი, რომელთაც სულაც არ სცოდნოდათ, რომ მათ სახელზედ სიმინდი იყო გამოწერილი. ამათ არ მიიღეს, მითხრეს ჩვენ არ გვითხოვია და არც გვჭირიაო. ამნაირი ცნობა მოგვივიდა დღეს ონის ნაწილის ბოქაულისაგან, რომ მთელმა შქმერის საზოგადოებამ სიმინდის მიღებაზე უარი განაცხადესო. აი ამათ უძახის ბ. ჯაფარ რაჭველი მშიერებს და ამტკიცებს, რომ, გარდა მომრიგებელ შუამავლისა, ყველგამ კარგად შეასრულა თავის მოვალეობაო. ჩემს ყურამდის მოაღწია ამბავმა, რომ გამოჩნდენ ზოგიერთნი, რომელთაც შეაგონეს ზოგიერთ გლეხს, რომ ეს არარის სესხი, აძლევენ ტყუილადო, მასთან კიდევ სამი წლის მერე მოგთხოვენ ფასსაო, მანამდის მანიფესტიც გამოვა და გაპატიებენო, რა გენაღვლებათ ითხოვეთ სიმინდიო, რომ გაყიდოთ იმის ფასი ფულია სამი წლის განმავლობაშიო, ამასთანავე ყველას მისცემენ, ვინც უნდა ითხოვოსო. შემდეგ ამისა მართლაც გამოჩნდა ბევრი მთხოვნელი, რომელთა რიცხვში ჩაიწერეს თავი ისეთებმაც, ვისაც შვილები არიან მდიდრები, ვაჭრობენ თბილისში და სხვაგან და უგზავნიან მამას საკმაო ფულს. ამ ნაირ პირების სესხის მიცემის წინააღმდეგი ვიყავი და ვარ ეხლაც. როგორც გვიამბეს მე და მაზრის თანამდებობის ასრულებელს ბ. ალექსანდრე კვიტაშვილს მაინც მიიღეს ასეთმა გლეხებმაც, რომელთაც თავიანთი ნალია სავსე აქვთ საკუთარის სიმინდით. ხვანჭკარის საზოგადოებაში თვით მაზრის უფროსი ბრძანდებოდა, მე იქ ვიყავი და კანცელარიაში რევიზიას ვაკეთებდი, ურიადნიკს განუმარტა მან, რაც საჭირო იყო და ურიადნიკმაც უპასუხა, რომ, თქვენ ბრძანეთ იგივე გვითხრა მომრიგებელმა შუამავალმაო, მაგრამ ჩვენ არ გვჭირდება და უარი უთხარითო, ეხლაკი ზოგიერთს სჭირდება სესხი და ამიტომ მე ჩავწერე ყველა, ვინც მიჩვენა გამორჩეულმა პირებმა, როგორც ხვანჭკარაში, აგრეთვე ბუგეულის, სადმელის და აბარის საზოგადოებაში და უკვე წარვადგინე, სადაც ჯერ არს.

იმ აბარის საზოგადოებას, რომელსაც ბ ჯაფარ-რაჭველი უძახის დამშეულს და სხვა საზოგადოებასაც რაჭის მაზრისას, სიმშილი ისე არ აწუხებთ, როგორც უსკოლობა და უგზოობა, ამიტომ იმ აბარის საზოგადოებამ ჩემის განმარტების შემდეგ დაადგინა განაჩენი, რომ გაიხსნას იმათ საზოგადოებაში ორ ადგას ორ ორ კლასიანი სასწავლებელი და გზების შესახებ იქნას მიღებული ჯეროვანი ზომები. როგორც აბარის საზოგადოებამ, აგრეთვე ბევრმა სხვამაც განმიცხადეს, რომ იმათ უკვე შეიტანეს ადმინისტრაციის ძალა-დაუტანებლად ამ წლის გადასახადები და აი ამას ჯაფარ-რაჭველი უძახის დამშეულ საზოგადოებას, ჯერ სიმინდი მეხუთედ ნაწილსაც არ მიუღია. რადგან ქუთაისიდან ჩამოტანა ძნელია, ურმები არ არის. ბ. ჯაფარ-რაჭველს უკვირს, რატომ განაცხადა პირველში რამოდენიმე საზოგადოებამ რაჭის მაზრისამ სესხად სიმინდის მიღებაზე უარიო და ამას მაბრალებს მე. შეიძლება, იმასაც მე მაბრალებდეს, რომ მთელმა ლეჩხუმის სენაკის და ზუგდიდის მაზრამ უარი განაცხადეს ამაზე, მაგრამ იქ მე ხომ არ ვყოფილვარ. ამის პასუხად თუ მეტყვიან, რომ რაჭის მაზრის გლეხობა უფრო ღარიბიაო, მე შემიძლია ვუთხრა, რომ ეს მართალი არ არის და კიდეც დავუმტკიცო. ყველა იმ მაზრებში და მთელს ქუთაისის გუბერნიაში მე ყოველგან მომსახურნია და არსად არ მინახავს, რომ გლეხობა უფრო კარგად სჭამდეს და სვამდეს, როგორც რაჭაში. მართალია, თუ უცნობმა გარედან შეხედა რაჭველ გლეხობას, უმეტესობას ძალიან ღარიბად ჩასთვლის, რადგან არ არის ამაყი და არ იცვამს ისე, როგორც ქვემო იმერეთ-სამეგრელოში, მაგრამ ერთი ასე ჩაცმული რაჭველი გლეხი სჯობია ოთხ იქაურს ფულითა და ჭამა-სმით. მე იმას არ ვამტკიცებ, რომ დახმარება არავის სჭიროდეს,*) მაგრამ ვამტკიცებ, რომ აქ არც ერთი საზოგადოება სიმშილით არ დაიხოცება.

რაჭის მაზრის მომრიგებელ-
შუამავალი **ფ. კეიდია.**

---

*) სწორედ ამიტომ უფრო საჭირო იყო, რომ ადგილობრივ მთავრობას მეტი მუყაითობა გამოეჩინა მშიერთა დახმარების საქმეში.

რედ.

*) თუ ამას თვითონაც ჰგრძნობთ, მით უფრო საჭიროა ხელი შეუწყოთ დახმარების საქმის ფართოდ დაყენებას.

რედ.

სოფ. ალპანის სამკითხველოს დახმარება

(წერილი რედაქციის მიმართ)

ბ. რედაქტორო! თქვენი გაზეთის საშუალებით ნება მოგვეცით უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ ქ. ბაბილინა კალისტრატე გაბიანის ასულს, რომელმაც კეთილ ინება და ალპანის უფასო წ.-ს. სამკითხველოსათვის შეაგროვა ფული შემდეგი პირებისაგან: ექ. ს. გაბუნიასაგან 10 მან, თ-დ ა. გარდაფხაძისაგან, მომრ. მოსამართლე ი. ყვანიასაგან, მასწავ. ვ. გელოვანისაგან, მღვ. ი. მარკ ანისაგან და ყარამან დოდელიანისაგან თითო მანათი.

აგრეთვე დიდი მადლობელი ვართ შემდეგი პირების, რომლებმაც ამავე სამკითხველოსთვის არ დაიშურეს თავისი წვლილი:

მასწავ. ს. რუხაძემ 1 მ 50 კ., ესტატე ახვლედიანმა, ა ჯანუაშვილმა, მღ. ი. მურისიძემ, მასწ. გ. ბახტაძემ, ი. კაპანაძემ, თ. გაბოსნიძემ თითო მანათი. მასწ. კ. ინჯიამ, ივანე კატატაძემ, თ. ალავიძემ, ლ. ალავიძემ, ა. კუხალაშვილმა, ა მანაგაძემ ათ ათი შაური. ივ. წერეთელმა 10 კაპ. ს. ასათიანმა 20 კ.

სამზრუნველო კომიტეტის თავმჯდომარე
ც. ახვლედიანის ქალი.

რედაქტორ-გამომცემელი
გრიგოლ დიასამიძე.

ხელოვნურად შეზავებული
სამკურნალო და ხილეულობის წყალი

მიტროფანე ლაღიძე და ამ.

მზადდება საუკეთესო ხილეულის წვენისაგან, წმინდა შაქრით, ქიმიურად გაწმენდილი მასალებისაგან, გამოხდილი და ნადუღი წყლით.

ბემოლ და სუნი საამური აქვს

ფირმა დაჯილდოვებულია წყლის საუკეთესო ღირსებისათვის დიდი ოქროს და ვერცხლის მედლებით და ცნობილია სრულიად უვნებლად თბილისის გუბერნიის სამკურნალო მმართველობისაგან (№ 5792)

ქარხნები იმყოფება: თბილისში—გოლოვინის პროსპ. № 6, ტელეფ. № 411.
ქუთაისში—პუშკინის ქუჩა № 5.

„თემი“-ს რედაქციის გამოცემა.

ს. აბაშელის ლექსთა კრებული
„მზის სიცილი“
ავტორის სურათით და ბ. ივანე გომართლის წერილით.
ფასი 50 კაპ.
ვინც გამოიწერს ფას-დადებით არა ნაკლებ 10 ცალისა, მას დაეთმობა 25 %, საკომისიოთ—20 %. **მისამართი:** გაზ. „თემი“-ს კონტორა.

„სორაპანის“ გამოცემა
დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდად
სრული სამზარეულო
შედგენილი ქნ. ბარბარე ჟორჟაძის მიერ.
წიგნი დიდი ზომისაა და ჩართული აქვს მრავალი სურათი.
ფასი ყდით 1 მ. 40 კაპ. ✦ უყდოთ—1 მ.

თხზულებანი
გიუ-დე მოპასანისა
დასურათებული
ფასი ერთი მანეთი
მსურველს ფოსტით „ნალოჟნი პლატეჟითაც“ გაეგზავნება.

ადრესი: Тифлисъ, типографія „Сорапань“
М. Гачечиладзе.

ტფილისის კერძო სამკურნალო
ქსენიას ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.
ტელეფონი № 590.

სტაციონური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრები და საერთო ოთახები. განსაკუთრებული სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმი-სპეციალისტები:

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი გ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მაღალაშვილი გ. გ.** (სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. ექ.-ქ. **ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** ყოველ დღე გარდა კვირისა 1—2
ქირურგიული სნეულებანი.	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი (ყოველ დღე) 11½—12—½). **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.
ქალთა და სამშ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12, **თაკაიშვილი ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.
ბავშვთა სნეულებ.	**ექ. ქალი ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** (ყოველ დღე, გარდა ოთხშ.) 1-1½ს **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. სნეულ. და ელექ.	**ჯაჯახიშვილი ნ. ნ.** სამშაბ. და შაბათ. 12—1 **ფონდოევი გ. ხ.** (ყოველ დღე) 1—2.
ყელ. ყურ. და ცხვ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1½. **ტრემბოვსკი ნ. ხ.** (ყოველ დღე) 1½—2.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი გ. ხ.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენ. სნ.	**დიასამიძე ა. ნ.** (ყოველ დღე) 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათამანგ. Wasserman. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606“ 914 და **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით.

გრამოფონები
„მონარქი“
საფაბრიკო საწყობი **გ. ს. დავიდოვისა**
გოლოვინის პრ. № 6 თბილისის საკრებულოს ქვეშ ტელ. 10-38
განყოფილებანი: [illegible]
დიდ-ძალი ასარჩევი ფირფიტები და გრამოფონების საკუთარი მოდელების „იაკორის“ მარკისა
ფასის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად
მიღებულია [illegible] ფირფიტები: მგოსანი აკაკი წერეთელი კითხულობს თავის ლექსებს.
ვსთხოვთ მიაქციოთ ყურადღება მარკას „Якорь“